ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
**ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი**

გიორგი ჯმუხაძე

სამაგისტრო ნაშრომი:

# მიგრაციული პროცესები საქართველოს ტერიტორიაზე უძველესი დროიდან დღემდე

სამაგისტრო პროგრამა: ეკონომიკა

მოდული: ეკონომიკისა და ეკონომიკური აზრის ისტორია

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია ეკონომიკის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: თამაზ ზუბიაშვილი
ასოცირებული პროფესორი, ეკონომიკის
აკადემიური დოქტორი

თბილისი 2019

# ანოტაცია


პირველი ადამიანი საქართველოს ტერიტორიაზე ჯერ კიდევ უხსოვარ დროს დასახლებულა და მას შემდეგ, აღარც შეწყვეტილა მუდმივი მიმოსვლა სხვადასხვა ხალხისა, მეტიც, დროის გასვლასთან ერთად მან უფრო და უფრო იმატა. რა გავლენას ახდენდა და ახდენს სხვადასხვა სახისა და მასშტაბის მიგრაციები საქართველოს ეკონომიკასა და ცხოვრებაზე? საინტერესო და აუცილებელია ამ მცირედ გამოკვლეული საკითხის საფუძვლიანად შესწავლა.

ნაშრომის პირველი ნაწილი იმ მიგრაციული ნაკადების ეკონომიკური ასპექტების განხილვაზეა ორიენტირებული, რომელიც საქართველოს ტერიტორიაზე პირველი დასახლებების წარმოქმნიდან ოცდამეერთე საუკუნემდე მიმდინარეობდა.

მეორე ნაწილში საუბარი იქნება დღეს არსებულ მიგრაციულ მდგომარეობაზე, განხლული იქნება მისი სხვადასხვა ეკონომიკური ეფექტი და შესაძლო პერსპექტივები, გამოკვლეული იქნება ამ პროცესების დადებითი და უარყოფითი მხარეები.

დასკვნის სახით მოცემული იქნება განხილული თემების შეჯამება და ხაზგასმული იქნება განსაკუთრებული მომენტები, რომელთაც შევხვდებით ნაშრომის კითხვის განმავლობაში. ასევე მოსაზრებები იქნება გამოთქმული იმ მდგომარეობაზე, რომელიც ამჟამადაა საქართველოში.

# Annotation

The very first human being has settled on the territory of Georgia in the antient times and since then, the movement of various masses of people have never stopped. Instead, it even increased more and more as the times had passed. What influence do migrations of various type and size have on the economy and life of Georgia? It is as necessary as it is interesting for this lesser researched topic to be studied thoroughly.

The first part of this paper is oriented on discussing economic aspects of migration waves that occurred on the territory of Georgia since creation of the first settlements 'till the XXI century.

The second part establishes state of migration in modern times. It will discuss various economic effects and promising potentials, also look into positive and negative sides of said migration processes.

As a conclusion there will be summarized discussed topics as well as highlighted those significant moments which we will meet throughout the paper. There will also be statements made about current state of migration in Georgia.

Giorgi Jmukhadze

Migration processes on the territory of Georgia from
ancient times to the present day

# შინაარსი

ანოტაცია ..... 1

შესავალი ..... 5

1. საქართველოს ისტორიაში არსებული ძირითადი მიგრაციული ნაკადები ადრეული ეპოქიდან დღემდე ..... 8

1.1 ადრეული ეპოქა ..... 8

1.2 მიგრაცია ადრე მონათმფლობელურ საზოგადოებაში (ძვ.წ. XII - ახ.წ. IV სს) ..... 9

1.3 შუა საუკუნეები (V-XV სს) ..... 13

1.4 XV-XIX საუკუნეები ..... 19

2. მიგრაციული პროცესები საქართველოში XX საუკუნეში ..... 22

2.1 მიგრაციული პროცესები საქართველოში 1950-იან წლებამდე ..... 22

2.2 საქართველოს მოსახლეობის მიგრაცია 1950-1990 წლებში ..... 23

2.3 მიგრაცია საქართველოში 1990-იანი წლებიდან ..... 26

3. საქართველოს მიგრაცია დღეს ..... 29

3.1 ზოგადი მიმოხილვა ..... 29

3.2 უცხოელი სტუდენტები ქართულ უნივერსიტეტებში ..... 37

3.3 ემიგრაცია და ეკონომიკური ზრდა ..... 39

3.4 მიგრაციის სალდო საქართველოში ..... 42

3.5 ინფლაცია და გაცლითი კურსი ..... 45

3.6 მიგრანტები საქართველოდან ..... 46

4. საქართველოში არსებული მიგრაციის ეკონომიკური აქპექტები ..... 53

4.1 ემიგრაციის ეკონომიკური შედეგები ..... 53

4.2 იმიგრაციის ეკონომეკური შედებები ..... 62

4.3 საქართველო და ევროკავშირი – ახალი პერსპექტივები ..... 68

4.4 პროგრამები, რომლებიც ხელს უწყობენ ემიგრანტებს სამშობლოში დაბრუნებას ..... 73

დასკვნა ..... 77

გამოყენებული ლიტერატურა და ელექტრონული წყაროები: ..... 79

# შესავალი

**თემის აქტუალურობა:** ადამიანი უძველესი დროიდან, შეიძლება ითქვას, მთელი მისი არსებობის მანძილზე, ცდილობს ცხოვრებისთვის უკეთესი პირობები შეიქმნას. უკეთესი პირობების ძიებას კი მრავალი სახე შეიძლება ჰქონდეს. მათ შორის ერთ-ერთი უძველესი და დღემდე რელევანტური სახეა მიგრაცია, რაც სამყოფელის დატოვებას და სხვა, უფრო სასურველ ადგილას გადასვლას გულისხმობს, იქნება ეს უკეთესი საცხოვრებელი ან სამუშაო პირობების მისაღებად თუ რაიმე საფრთხისგან თავის ასარიდებლად, ნებაყოფლობით თუ საკუთარი სურვილის წინააღმდეგ, დროებით თუ სამუდამოდ.

დღესდღეობით, მრავალი ადამიანი იღებს გადაწყვეტილებას, ჩაერთოს მიგრაციულ პროცესებში. მიგრაციის მთავარი მიზეზი ყველაზე ხშირად დასაქმების სურვილი ხდება, თუმცა, ამის გარდა, მიზეზად შეიძლება იქცეს განვითარების მწირი შესაძლებლობა, უკეთესი განათლების სურვილი, მკაცრი კანონები, გლობალიზაცია, ბუნებრივი კატასტროფები (წყალდიდობა თუ გვალვა); ზოგჯერ ცუდი მოსავალიც კი უბიძგებს სოფლის მოსახლეობას, გადავიდნენ საცხოვრებლად ქალაქში.

თავად მიგრაცია, როგორც მოვლენა თავისი მნიშვნელოვანი ეფექტებით, სახელმწიფო დონეზე შესაძლოა იყოს როგორც კარგი, აგრეთვე დიდი ზიანის მომტანიც. მიუხედავად მისი უმეტესად დადებითი ეფექტებისა ეკონომიკურ და სოციალურ განვითარებაზე, საზოგადოებაში იზრდება შიში, რომ მსოფლიოს მრავალ კუთხეში მიგრაცია დღევანდელი დონით და სტრუქტურით საფრთხის შემცველია. მიგრაციულ პროცესში საფრთხის დანახვამ კი შესაძლოა გამოიწვიოს საზოგადოების რადიკალური დამოკიდებულება, პოლიტიკური უთანხმოებები და უსაფრთხოების ზომების გამკაცრება, რაც, თავის მხრივ, ზღუდავს ადამიანთა უფლებებს და გადაადგილების თავისუფლებას.

მიგრაციასთან დაკავშირებული პრობლემები არც საქართველოსთვისაა უცხო. გარდა იმისა, რომ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ასეულ ათასობით ადამიანმა დატოვა ქვეყანა, ჩვენი ქვეყნის მცირე ეკონომიკა კრიზისების დროს არაერთხელ ყოფილა დამოკიდებული ამ ემიგრანტთა მიერ გადმორიცხულ ფულად დახმარებებზე. გარდა ამისა ემიგრაციის მაღალი მაჩვენებელი მკაფიოდ მიუთითებს საქართველოში სამუშო ძალისთვის არსებული შესაძლებლობების სიმცირეზე.

**მიზნები:** ამ ნაშრომის მიზანია მიმოიხილოს საქართველოს ტერიტორიაზე არსებული მიგრაციული ნაკადები და მათთან დაკავშირებული მთავარი მომენტები უძველესი დროიდან დღემდე; განიხილოს მათი გამოწვეული დადებითი და უარყოფითი ეფექტები ეკონომიკურ კონტექსტში; შეაფასოს მიმდინარე პერიოდში არსებული მდგომარეობა; ასევე განიხილოს როგორ რეაგირებენ სხვადასხვა ორგანიზაციები და მმართველი ორგანოები დღეს არსებულ გამოწვევებზე.

თემის კიდევ ერთი მიზანია განიხილოს პროექტები, რომლებიც მიმდინარეობს ევროკავშირის აქტიური ჩართულობით მიგრაციული პროცესების გამარტივებისთვის საქართველოს მოსახლეობისთვის; მიმოიხილოს ეკონომიკის სფეროები, რომლებიც ხასიათდება მიგრაციასთან მჭიდრო დამოკიდებულებით და რიცხვითი მაჩვენებლებით გაამყაროს წარმოდგენილი შეხედულებები.

**დასმული ამოცანების შინაარსი:**

- საქართველოს ტერიტორიაზე უძველესი დროიდან დღემდე არსებული ძირითადი მიგრაციული ნაკადების განხილვა;
- საქართველოში დღეს არსებული  მიგრაციული მდგომარეობის დახასიათება და ანალიზი;
- ემიგრაციისა და იმიგრაციის ეკონომიკურ ეფექტებზე მსჯელობა საქართველოს ეკონომიკაზე;

- ევროკავშირთან ურთიერთობით წარმოქმნილი მიგრაციული ნაკადების დახასიათება.

**საკვლევი საგნისა და ობიექტის ფორმულირება:** კვლევის საგანია მიგრაციული პროცესები საქართველოს ტერიტორიაზე, როგორც უძველესი პერიოდის, ასევე თანამედროვე; გარდა ამისა უახლესი სტრატეგიები და გამოწვევები ამ მიმართულებით. კვლევის ობიექტია საქართველოში უძველესი დროიდან მიმდინარე მიგრაციული პროცესების წარმოდგენა ეკონომიკურ კონტექსტში და უახლესი გამოწვევების ზეგავლენის შესწავლა, აგრეთვე რიცხვითი მონაცემების ანალიზი და შესაბამისი დასკვნების ჩამოყალიბება.

**მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და საინფორმაციო რესურსები:** რადგან თემის პირველი ნაწილი ისტორიულ მოვლენებს ეყრდნობა, ინფორმაციის ბაზაც უმეტესად იმავე პერიოდის ისტორიული ნაშრომებია, როგორც მოვლენათა თანამედროვეების, აგრეთვე მოგვიანებით მოღვაწე მეცნიერ-მკვლევარების. გამომდინარე იქიდან, რომ ნაშრომის მეორე ნაწილი უმეტესად თანამედროვე მოვლენებს ასახავს, რაოდენობრივი მონაცემები აღებულია ისეთი ორგანიზაციებისგან, როგორიცაა საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისია და სხვა არასამთავრობო ორგანიზაციები. თეორიული ანალიზისთვის გამოვიყენებთ ამ ორგანიზაციების გამოქვეყნებულ სამოქმედო გეგმებს და წლიურ ანგარიშებს, რომელიც წარმოდგენილი იქნება ცხრილური და გრაფიკული სახით.

# 1. საქართველოს ისტორიაში არსებული ძირითადი მიგრაციული ნაკადები ადრეული ეპოქიდან დღემდე

## 1.1 ადრეული ეპოქა

საქართველოს ისტორიაში მიგრაციას განსაკუთრებული როლი უკავია. მნიშვნელოვანი სტრატეგიული და გეოპოლიტიკური მდებარეობის გამო მომხდარი ომების შედეგად, მოსახლეობა, ნებსით თუ უნებლიეთ, მუდმივად მიგრირებდა საკუთარ ქვეყანაში ან მის ფარგლებს გარეთ. ამავდროულად, საუკუნეთა მანძილზე საქართველო იღებდა იმიგრანტებს, ერთობლიობაში ისინი წარმოშობდნენ კულტურის თვითმყოფად კერებს, რომლებმაც მრავალი წელი იარსებეს და, ფაქტობრივად, უცვლელად მოაღწიეს ჩვენამდე.

საქართველოს ტერიტორიაზე უკანასკნელი არქეოლოგიური გათხრებისას აღმოჩენილი (1991-2005 წწ), ადამიანური ნაშთების გათვალისწინებით, საქართველოში უძველეს მოსახლეებად მიიჩნევიან 1.8 მლნ წლის წინათ აფრიკიდან მიგრირებული და პირველ ევროპელებად აღიარებული წყვილი, რომელთაც არქეოლოგებმა ზეზვა და მზია დაარქვეს. საგულისხმოა, რომ ქვემო ქართლში, ქალაქ დმანისში აღმოჩენილი ე.წ. ჰომო ერექტუს გეორგიკუსის ნარჩენები უძველეს ნიმუშებად ითვლება აფრიკის გარეთ ნაპოვნ ადამიანურ ნაშთთა შორის. ამ პირველ იმიგრანტთა გამოჩენასთან ერთად, საქართველო გახდა გლობალური მიგრაციული პროცესების აქტიური მონაწილე.

მიგრაციული პროცესები ადრეული ეპოქის საქართველოში ისტორიული მოვლენების პარალელურად ვითარდებოდა და მნიშვნელოვნად განსაზღვრავდა სახელმწიფოს ბედს. ქართველთა მიგრაციაზე ნათელი წარმოდგენის შესაქმნელად ქვემოთ დასახელებულია ის ძირითადი მოვლენები, რომლებმაც ისტორიის სხვადასხვა ეტაპზე განაპირობა მოსახლეობის გადაადგილება ქვეყნის შიგნით ან მის საზღვრებს გარეთ.

## 1.2 მიგრაცია ადრე მონათმფლობელურ საზოგადოებაში (ძვ.წ. XII - ახ.წ. IV სს)

საქართველოს ტერიტორიაზე მიგრაცია ჯერ კიდევ გვიანი პალეოლითის ხანაში დაიწყო. მიგრაციის პირველი ცენტრი დასავლეთ საქართველო ყოფილა, სადაც აღმოჩენილია იმ პერიოდის ადამიანის მიერ დამზადებული სხვადასხვა ნივთი.

იქამდე ადამიანთა ცხოვრების სტილი უმეტესწილად მომთაბარეობა იყო და ისინი მთელ ცხოვრებას მიგრაციაში ატარებდნენ.

ნეოლითის ხანიდან დაიწყო გვაროვნული წყობილებების ჩამოყალიბება, გაჩნდა დასახლებები, გაუმჯობესდა იარაღები, ადამიანებმა დაიწყეს ცხოველების მოშინაურება და შემგროვებლობიდან მიწათმოქმედებისკენ მიმართეს მათი ენერგია. შედეგად, იკლო მიგრაციულმა ნაკადებმა, ზრუნავდნენ რა ოჯახები და ტომები განევითარებინათ დასახლებები და დაემუშავებინათ მეტი მიწა.

მიწათმოქმედების, მესაქონლეობის და ხელოსნობის განვითარებას მოჰყვა აღებ-მიცემობის აღმოცენება. ამ მოვლენამ კი შედეგად მიგრაციის ახალი სახის - იძულებითი მიგრაციის წარმოქმნა გამოიწვია. იძულებითი მიგრაცია თავდაპირველად სამხედრო ტყვეებით ვაჭრობაში გამოიხატებოდა, შემდგომში კი უკვე თემის მაღალი ფენის წარმომადგენლები ყიდდნენ დაბალი ფენის თანამეთემეებს.

საქართველოს სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში ძველი წელთაღრიცხვით მეორე ათასწლეულის მიწურულს აღმოცენდა ტომთა გაერთიანება დიაოხი. შეიძლება ითქვას, რომ ეს იყო პირველი შემთხვევა საქართველოს ისტორიულ ტერიტორიაზე, როდესაც მაცხოვრებლებმა გადაწყვიტეს გაერთიანებულიყვნენ და შეექმნათ სახელმწიფო, უარი ეთქვათ რა მიგრაციაზე და გაემაგრებინათ საზღვრები, რომელშიც ხელს მიჰყოფდნენ ხელოსნობას, მიწათმოქმედებას, მესაქონლეობას და სხვა საქმიანობებს.

დიაოხი მთელი თავისი არსებობის მანძილზე რეგულარული შეტევების ქვეშ იმყოფებოდა ასურეთისა და ურარტუს სამეფოებისგან, რასაც თავიდან წარმატებით იგერიებდა კიდეც. თუმცა, ძვ.წ. VIII საუკუნეში მუდმივი ბრძოლისგან დასუსტებული დიაოხის დიდი ნაწილი, ქართველურ ტომთა მეორე დიდიმა გაერთიანებამ, კოლხამ, იძულებით შემოიერთა[1].

კოლხეთის სამეფო თავისი დროისთვის საკმაოდ ძლევამოსილი იყო და ძვ.წ. III საუკუნემდე იარსება, როგორც დამოუკიდებელმა ერთეულმა. ამ პერიოდისთვის საწარმოო ძალთა ზრდაა დამახასიათებელი. სამარი და შრომის იარაღები უმეტესად უკვე რკინისგან მზადდებოდა, პურეულის გარდა მოჰყავდათ ბოჭკოვანი მცენარეები და გავრცელდა მევენახეობა და მებაღეობა. აგრეთვე დიდად განვითარდა მესაქონლეობა, მეფუტკრეობა, ლითონის დამუშავება და საიუველირო საქმიანობა.

კოლხეთის ეკონომიკა და ბუნებრივი პირობები დიდი ინტერესის საგანს წარმოადგენდა ბერძნებისათვის, რამაც გამოიწვია ამ ტერიტორიაზე უძველესი პერიოდის მიგრაციულ ნაკადთა შორის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესის წარმოქმნა: ბერძნული კოლონიზაცია.

ბერძნებისთვის კოლხეთის სანაპირო შორეულ აღმოსავლეთად ითვლებოდა, თუმცა მათ მაინც მოახერხეს ძვ.წ. VII-VI საუკუნეებში შავი ზღვის სანაპიროზე დიდი კოლონიების დაარსება. ამ ახალშენებიდან ყველაზე ცნობილი ტრაპეზუნდი, კერასუნტი, ფაზისი (ფოთი), დიოსკურია (სოხუმი) და პიტიუნტი (ბიჭვინთა) იყვნენ. ახალშენებში კი არა მხოლოდ ბერძნები, არამედ ადგილობრივი მოსახლეობაც დასახლდა[2].

---

[1] A. G. Sagona. *Archaeology at the North-East Anatolian Frontier*, p. 30

[2] ნოდარ ასათიანი, მარიკა ლორთქიფანიძე, როინ მეტრეველი, ოთარ ლორთქიფანიძე, გივი ჯამბურია, გიორგი ოთხმეზური, ოთარ ჯაფარიძე. *საქართველოს ისტორია (X კლასის სახელმძღვანელო)* - თბილისი, "ცისარტყელა", 2001. გვ. 33


ადრექართული სახელმწოფოები ძვ.წ. 600-150 ა.წ.
კოლხეთის სამეფო
იბერიის სამეფო
იბერიის ტერიტორია, მიტაცებული სპარსეთისა (ძვ.წ. 486-333) და სომხეთის (ძვ.წ. 189 - 117 ა. წ.) მიერ.
სარმატია
დიდოეთი
სვანეთი
კოლხეთი
ეია
არგვეთი
ფასისი
აფსაროსი
ბეხირები
ბეჩოსი
დიოსკურია
გიენოსი
ბეჩოსი
ბეჩოსი
ბეჩ

ნაწილს. აქაც საკმაოდ განვითარდა როგორც მიწათმოქმედება, ასევე ხელოსნობა და ვაჭრობა და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, წარმოიქმნა პირველი ქალაქები, ისეთი სახით, როგორადაც დღეს ვიცნობთ ქალაქს. იქამდე არსებული ქალაქების უმეტესობა სოფლური ტიპის იყო, სადაც მიწათმოქმედებას და მეცხოველეობას აქტიურად მისდევდნენ, ხოლო ქართლის ქალაქებში (როგორიცაა დედაქალაქი მცხეთა, კასპი, სურამი, უფლისციხე და სხვა), მოწინავე როლი ვაჭრობასა და ხელოსნობას ეჭირათ. უნდა აღინიშნოს, რომ ქალაქებს სოფლის საქმიანობასთან სრულიად არ გაუწყვეტიათ კავშირი, თუმცა ეს ძირითადად სოფლის მეურნეობის ის საჭირო მოცულობა იყო, რომელიც სანედლეულო ბაზას შეუქმნიდა და უზრუნველყოფდა ხელოსნობის განვითარებას.

გარდა იმისა, რომ ქალაქებში საქმიანობის სპეციფიკური, ქალაქისთვის დამახასიათებელი სახეები გავრცელდა, ისინი აგრეთვე უკეთესად იყო დაცული მტრის შემოტევებისაგან, რამაც მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილის კონცენტრაციას შეუწყო ხელი. შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს ისტორიაში სწორედ აქ გვხვდება პირველად მიგრაციის კიდევ ერთი, დღეს საკმაოდ აქტუალური სახე, ურბანიზაცია, რაც სოფლის მოსახლეობის ქალაქად გადასვლას გულისხმობს.

ქართლის არსებობის განმავლობაში მტრის მრავალრიცხოვან შემოტევათა გამო თავად სამეფო ხელისუფალნიც ხშირად ხდებოდნენ იძულებულნი წლობით გადასახლებულიყვნენ დროებით უსაფრთხო ადგილებში. მაგალითად ქართლის პირველი მეფის, ფარნავაზ I-ის დედა იძულებული გახდა სპარსეთში გაეხიზნა შვილები, რათა დამალვოდნენ ალექსანდე მაკედონელის ლაშქრობის შემდეგ ქართლის გამგებლად დატოვებულ, დაუნდობელ აზოს (აზონს). საქართველოში დაბრუნებული 20 წლის ფარნავაზი თავის მხრივ ძლევამოსილი კავშირებით და შეგროვებული ძლიერი ჯარით განდევნის აზოს ჯავახეთში[3].

ფარნავაზის ძეს, საურმაგ I-საც მოუწია აჯანყებული ერისთავების წინააღმდეგ დახმარების სათხოვნელად დედულეთში, დურძუკეთში წასვლა, საიდანაც სწორედ მას

[3] ვახუშტის ბატონიშვილი „საქართველოს ისტორია“

მიეწერება ჩრდილო კავკასიიდან კავკასიელ ტომთა გადმოსახლება საქართველოს მთიანეთში. როგორც ვახუშტი ბატონიშვილის "საქართველოს ისტორიაში" ვკითხულობთ: „მაშინ ძურძუკეთი ვერღა-რა იტევდა კაცთა სიმრავლისაგან, აჰყარა კავკასითურთ საურმაგ და დასხნა დიდოეთს და სვანეთს ეგრისამდე, და დაიპყრნა ესენი მისანდობელად". აქედან გამომდინარე შესაძლოა დღევანდელი მთიანეთის მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი ჯერ კიდევ ძვ.წ. III საუკუნეში ჩამოსახლებული დურძუკების შთამომავლები იყვნენ.

აღსანიშნავია ჩვენი წელთაღრიცხვით V საუკუნეში საქართველოს დიდი მეფის, ვახტანგ გორგასლის მიერ დაწყებული ქალაქ თბილისის მშენებლობა, რომელიც მისმა ძემ, დაჩიმ დაასრულა. თბილისი კარგად დაცული ქალაქი იყო ხელსაყრელი მდებარეობით, რომელიც თავდაპირველად პატარა იერუსალიმად იყო ჩაფიქრებული ვახტანგის მიერ, საეკლესიო ქალაქად; თუმცა, მისი ხელსაყრელობის გამო სატახტო ქალაქის გადმოტანა მცხეთიდან სწორედ აქ მოხდა. ამანაც თავის მხრივ გამოიწვია ქართლის მოსახლეობის დიდი ნაკადის გადმოსახლება თბილისში.

## 1.3 შუა საუკუნეები (V-XV სს)

შუასაუკუნეების ევროპისა და აზიის ქვეყნებში პირველთემური საზოგადოებები ფეოდალიზმმა ჩაანაცვლა. ფეოდალიზმი გულისხმობს ეკონომიკური საქმიანობების ისეთ სახეს, როდესაც საზოგადოება დაყოფილია ზედა და ქვედა ფენებად; ზედა ფენას გააჩნია საკუთრება წარმოების საშუალებებზე (უმეტესად მიწაზე), ქვედა ფენას კი წარმოადგენენ ყმა გლეხები, რომლებიც ამუშავებენ ამ მიწას თავიანთი იარაღებით და წარმოებული პროდუქტის ნაწილს ფეოდალს აძლევს.

ფეოდალიზმი მოიცავს სამ პერიოდს: ადრეული ფეოდალიზმი (V-X სს), როდესაც წარმოიშვა ფეოდალიზმი და თავისუფალი გლეხები თანდათან ყმებად გადაიქცნენ. ამ პერიოდისთვის სრულიად ნატურალური მეურნეობაა დამახასიათებელი; განვითარებული

ფეოდალიზმი (XI-XV სს), როდესაც გაიზარდა საწარმოო ძალები და განვითარდა ხელოსნობა და გვიანი ფეოდალიზმი (XV-VI სს), ფეოდალიზმის დაშლისა და კაპიტალისტური ურთიერთობების ჩამოყალიბების პერიოდი.

საქართველოში მეხუთე საუკუნიდან დაიწყო მონათმფლობელობის კრიზისი რადგან ამაღლდა მიწის დამუშავების ტექნიკა და მორწყვის მეთოდები. შედეგად საზოგადოების ზედა ფენას გაეზარდა მისწრაფება დაეკავებინა მეტი მიწები და თავისუფალი მოსახლეობა დაემორჩილებინა იძულებით ან მფარველობის ქვეშ მოქცევით. გარდა ამისა ტყვე მონებს უკვე თავისუფალ მიწებზე ასახლებდნენ. ასე ყალიბდებოდა საქართველოში ფეოდალური ურთიერთობები.

ადრეული ფეოდალიზმი საქართველოში ძალიან საინტერესოა, რადგან მიუხედავად იმისა, რომ ფეოდალიზმის დამსახურებით მოსახლეობის მიგრაცია თითქმის შეწყდა და არასასურველი გახდა (აზნაურები თავიანთ მიწებს უფრთხილდებოდნენ, გლეხები კი აზნაურების მფარველობას), მსოფლიოში არაბების ბატონობა ვრცელდებოდა და საქართველოს ტერიტორიაზეც VII-დან XI საუკუნის შუა წლებამდე არაერთხელ შემოვიდა არაბთა ჯარი და ააოხრა საქართველო, გადააქცია რა თბილისი ერთ-ერთ საამიროდ. ძველი დროისათვის დამახასიათებელი დროებითი მიგრაციის ერთერთი სახე სწორედ საომარი ლაშქრობები იყო, რომლებიც მრავალ შემთხვევაში დაუბრუნებელ ხასიათს ატარებდა მოლაშქრის დაღუპვის ან სხვა ქვეყანაში საცხოვრებლად დარჩენის, ზოგჯერ კი ტყვედ ჩავარდნის გამო. საქართველოს ეკონომიკურმა მდგომარეობამ ძლიერი დარტყმა მიიღო ამ ლაშქრობების შედეგად, რადგან განადგურდა ქალაქების უმეტესობა და უმოწყალოდ გაიჟლიტა მოსახლეობა. გარდა ამისა ხალხს დაეკისრა მძიმე გადასახადები, მათ შორის საკომლო (ჯიზია) და საადგილმამულო (ხარაჯა)[4]. ამან კიდევ უფრო ძლიერ მოდრიკა ისედაც შეჭირვებული მოსახლეობა.

საბოლოო ჯამში ვერც არაბების შემოსევამ ვერ შეწყვიტა საქართველოში ფეოდალიზაციის პროცესი რომელიც უფრო ვითარდებოდა და მთელ საქართველოს

[4] *ლორთქიფანიძე მ.,* ქსე, ტ. 1, გვ. 525, თბ., 1975

ტერიტორიას ნელნელა მოიცავდა. საბოლოოდ, X საუკუნეში ბაგრატ III-ემ წერტილი დაუსვა მწვავე შიდაფეოდალურ ომებს წვრილ კუთხეებად დაყოფილ საქართველოში და თავისი სიცოცხლის განმავლობაში, სამეფო ნაწილ-ნაწილ, ისევ გააერთიანა.

### 1.3.1 დიდი თურქობა

**„დიდი თურქობა“**, ამ ტერმინითაა ცნობილი თურქ-სელჩუკთა განუწყვეტელი შემოსევები საქართველოში XI საუკუნის 80-იან წლებში[5].

მცირე აზიაში სელჩუკთა სახელმწიფოს შექმნას უარყოფითი შედეგი მოჰყვა საქართველოსა და ამიერკავკასიის ქვეყნებისათვის. საქართველოს მეზობლად დამკვიდრდნენ მომთაბარე-მეჯოგე ტომები, რომლებიც სისტემატურად ესხმოდნენ თავს საქართველოს სხვადასხვა მხარეს. მეფე გიორგი II-მ (1072-1089) მთელი რიგი ღონისძიებები გაატარა ქვეყნის შინაგანი ძალების შემომტკიცებისა და საზღვრების გაფართოების მიზნით, მაგრამ ეს წარმატებანი ხანმოკლე აღმოჩნდა. თურქ-სელჩუკთა სულთნის მალიქ-შაჰის საგანგებო ლაშქარმა დაამარცხა ყველისციხეში მდგომი მეფე გიორგი. ამას მალე უფრო დიდი ლაშქრობა მოჰყვა. სელჩუკები მთელ საქართველოს მოედვნენ. მემატიანის გადმოცემით „ერთსა დღესა დაწუეს ქუთათისი და არტანუჯი და უდაბნონი კლარჯეთისანი“. ეს იყო თურქ-სელჩუკთა პირველი დიდი შემოსევა, რომელიც 1080 წელს დაიწყო.

ამიერიდან სელჩუკები საქართველოში საძარცვავად ყოველი წლის გაზაფხულზე მოდიოდნენ და დაზამთრებამდე რჩებოდნენ. ასეთ ვითარებაში ქართველი მწარმოებელი საზოგადოება ინტენსიურ მეურნეობას ვეღარ უძღვებოდა. ამის გარდა, საქართველოს ტერიტორიაზე მომთაბარეთა ჩამოსახლება ყოველწლიურად მატულობდა. ქვეყანა

[5] *მეტრეველი რ.,* შინაკლასობრივი ბრძოლა ფეოდალურ საქართველოში (XII ს.,), თბ., 1973

გადაშენების საფრთხეს წინაშე იდგა, გიორგი II ისპაჰანში ეახლა სულთან მალიქ-შაჰს და ყოველწლიური გადასახადი აღუთქვა. ამ გზით ქვეყანამ დროებით მოისვენა „ზედამარბეველთაგან“. ასევე მოიქცა კახთა მეფე აღსართანიც, რომელიც სულთანს ეახლა, მორჩილება გამოუცხადა და ქრისტიანობა დათმო. მაგრამ სელჩუკები მაინც თავისუფლად დათარეშობდნენ მთელ საქართველოში. შემოდგომის დადგომისთანავე მთელი თავისი ავლა-დიდებითა და საქონლით გაჩიანს ჩამოდგებოდნენ, თბილისიდან ბარდავამდე მთელი მტკვრის სანაპირო და ივრის პირის საუკეთესო საზამთრო საძოვრები მათ ეჭირათ, ხოლო საზაფხულო საძოვრებზე სომხეთის მთებში მიდიოდნენ. შინაკლასობრივმა ბრძოლამ, რომელსაც სულთანიც უწყობდა ხელს, კიდევ უფრო მძიმე მდგომარეობაში ჩააყენა ქვეყანა.

თურქ-სელჩუკთა მომთაბარულ-მეჯოგური მეურნეობა უპირისპირდებოდა განვითარებული ფეოდალური ქვეყნის კულტურულ მეურნეობას, ანგრევდა და ანადგურებდა ქალაქებს და დაცემის პირამდე მიჰყავდა საქალაქო ცხოვრება, ვაჭრობა-ხელოსნობა. დიდი მსხვერპლის ფასად ქართველმა ხალხმა მაინც შეძლო თავისი თვითმყოფობის, პროგრესული ფეოდალური მეურნეობის შენარჩუნება. თურქ-სელჩუკთა სოციალურ-პოლიტიკურ სისტემას მზარდი ქართული ფეოდალური წყობილების საფუძვლები არ დაურღვევია.

თურქ-სელჩუკთა განდევნა საქართველოდან დავით აღმაშენებელმა შეძლო. მანვე განახორციელა ერთი ძალიან საინტერესო იდეა, რომელმაც მიგრაციის დიდი ნაკადი წარმოშვა ჩრდილოეთ კავკასიიდან მთელი საქართველოს მასშტაბით. ეს გადაწყვეტილება ყივჩაღების ჩამოსახლება იყო.

### 1.3.2 ყივჩაღების ჩამოსახლება

ყივჩაღები თურქული წარმოშობის ხალხი იყო. ისინი კავკასიონის ჩრდილოეთით მდინარე დონიდან მოკიდებული კასპიის ზღვის ნაპირებამდე ცხოვრობდნენ. ისინი განვითარების დაბალ საფეხურზე იდგნენ, მათში, XII საუკუნეში, ჯერ კიდევ გვაროვნული წყობილება იყო და ტომებად ცხოვრობდნენ. ისინი ცნობილი იყვნენ კარგი საბრძოლო თვისებებით, ამასთან ნების დამყოლნი და უპრეტენზიონი იყვნენ. დავით აღმაშენებელს ცოლად ჰყავდა ყივჩაყთა მთავრის ათრაქა შარაღანის ძის ასული გურანდუხტი და კარგად *„უწყოდა კეთილად ყივჩაყთა ნათესავისა სიმრავლე, წყობათა შინა სიმხნე, სისუბუქე და მიმოსვლა, სიფიცხე მიმართებისა, ადვილად დასამჭირველობა და ყოვლითურთ მომზავებლობა ნებისა თჳსისა*“.

გასათვალისწინებელი იყო ისიც, რომ ყივჩაყები კიევის დიდი მთავრის ვლადიმირ მონომახის მიერ გამოდევნილი იყვნენ რუსეთიდან.

არსებობს ცნობა იმის თაობაზე, რომ დავით აღმაშენებელმა ყივჩაყთა ჩამოსახლების საკითხი, მას შემდეგ რაც თვით ყივჩაყებისაგან მიიღო თანხმობა, ვლადიმირ მონომახთან შეათანხმა. მეფე თავად გაემგზავრა ოსეთს გიორგი მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელთან ერთად. მას ოსეთის მეფე-მთავრები მიეგებნენ და *„ვითარცა მონანი დადგნენ მის წინაშე*“. დავითმა დარიალის უღელტეხილი დაიკავა, მძევლები ჩამოართვა ოსებსა და ყივჩაყებს და ამგვარად შექმნა „გზა მშვიდობისა – ყივჩაყთათვის“.

„გზა მშვიდობისა“, რა თქმა უნდა, მხოლოდ ყივჩაყთა ლაშქრის გადმოსაყვანად არ სჭირდებოდა დავითს. ასეთი პირობა საჭირო და აუცილებელი იყო იმ მნიშვნელოვანი კულტურული ურთიერთობისათვის რომელიც საქართველოსა თუ ამიერკავკასიისა თუ „ჩრდილოჲს“ ქვეყნებს შორის არსებობდა ამ დროს. დავითის ეს საქმიანობა — დარიალის კარების ხელში აღება, იყო არა თავდაცვის აქტი ჩრდილოეთიდან მოწოლილ მომთაბარეთა შემოსევების წინააღმდეგ, არამედ ღონისძიება შეტევისა და გავლენის მიზნით კავკასიის მთიანეთსა და ამიერკავკასიის ხალხებზე. ეს ერთი ეპოქალური ტეხილი იყო დარიალის გზის ისტორიაში. გზის ეს მშენებლობა იმ დროის საქმეა, როცა საქართველოში „კლდე-

კარებსა“ და „გზაჭრილებს“ აკეთებდნენ, როცა დარიალის კარებს კი არ კეტავდნენ, არამედ ფართოდ აღებდნენ.

დავითმა, მისივე ისტორიკოსის ცნობით, „*ყივჩაყნი დააყენა ადგილთა მათ მარჯუეთა დედა-წულითა მათითა*“. დავითმა საქართველოში გადმოიყვანა ყივჩაყთა 40 000 ოჯახი. დავითის ისტორიკოსი არ ასახელებს ადგილს რომელზეც ისინი დასახლდნენ, ისე კი ამბობს „ადგილთა მათ მარჯუეთა“ დააყენაო. საფუძვლიანი უნდა იყოს ვარაუდი, რომ ყივჩაყების დასასახლებლად გამოყენებული იყო უმთავრესად ის ადგილები რომლებიც ჯერ არაბთა, ხოლო შემდეგ სელჩუკთა მძლავრობის დროს დაცარიელდა. ყივჩაყთა სწრაფი გაქრისტიანება და მათი შერწყმა ადგილობრივ ქართულ მოსახლეობასთან საქართველოს სამეფო კარის ინტერესებში იყო, ამიტომ, რა თქმა უნდა, ისინი ქართულ ტერიტორიაზე დაასახლეს[6].

დავითმა ყივჩაყები რაზმებად („გუარად-გუარად“) დაყო და დაუნიშნა სპასალარნი და მმართებელნი, ამასთან, უზრუნველყო ისინი საჭურვლითა და ცხენებით. ყივჩაყები სწრაფად ასიმილირდნენ ქართველებში. უპირველესად, ისინი ქრისტიანდებოდნენ: „*უმრავლესნი ქრისტიანე იქმნებოდეს დღითიდღე და სიმრავლე ურიცხჳ შეეძინებოდა ქრისტესა*“.

ამათ გარდა დავითს 5 000 კაცი მონა-სპაში ჰყავდა — „*ყოველი ქრისტიანე ქმნულნი, მისანდონი და გამოცდილნი სიმხნითა*“. ამგვარად დავითს ყოველი შემთხვევისათვის მზად ჰყავდა 45 000 გაწვრთნილი ცხენოსანი მოლაშქრე, ხოლო საჭირო შემთხვევაში მეფეს შეეძლო შეეყარა „*თვისისა სამეფოსა სპანი, რჩეულნი და მოკაზმულნი, ცხენკეთილნი და პირშეუქცეველნი*“.

ყივჩაყები თავიანთი ოჯახებითურთ იქნენ გადმოსახლებული. ამასთან, თითოეული ოჯახის ფეოდალური ვალდებულება იყო თითო მოლაშქრე მუდმივად მიეცა ქვეყნისათვის. ყივჩაყებს მეომრისათვის ყველა საჭირო ატრიბუტთან ერთად მიეცათ მიწა, ბუნებრივია,

[6] როინ მეტრეველი — წმინდა დავით აღმაშენებელი, 2011, გვ. 76

რომ ამ გზით შექმნილი ჯარი ჩვეულებრივი დაქირავებული გვარდია არ იყო, იგი არსებითად განსხვავდებოდა ისეთი დაქირავებული ჯარისგან როგორიც როქის სპა იყო. ყივჩაყები უშუალოდ ჩაებნენ ფეოდალური საქართველოს ცხოვრებაში, მათი განსხვავება ქართველი გლეხებისაგან სახელმწიფოსადმი ვალდებულება-დამოკიდებულებაში უნდა გამოხატულიყო, კერძოდ, ყივჩაყთა ვალდებულება მხოლოდ სამხედრო სამსახურში უნდა ყოფილიყო. სხვა მხრივ კი ყივჩაყი მოსახლეობა ალბათ თავისუფალი იყო. არ არის გამორიცხული ისიც, რომ სამხედრო სამსახური ბეგარის სახით დაწესებულიყო.

ყივჩაყთა გადმოყვანისათვის ქმედითი ღონისძიებების გატარება დავითმა 1118 წლის მეორე ნახევარში დაიწყო (ლორისა და აგარანის აღების შემდეგ) და უნდა ვიფიქროთ, რომ 1119 წელს მთლიანად მოაგვარა ეს საქმე (დაასრულა ყივჩაყთა ჩამოსახლება). იმავე 1119 წელს ჩაატარა ძირითადი საწვრთნელი სამუშაო.

ამგვარად, 1118-1119 წლებში ძირითადად გადაწყდა მუდმივი ლაშქრის შექმნის პრობლემა, ამ ლაშქრის მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენდნენ ყივჩაყები. დავითის ისტორიკოსის მიხედვით ისინი 40 000 იყვნენ.

## 1.4 XV-XIX საუკუნეები

შემდგომი საუკუნეების განმავლობაში საქართველოს ისტორიაში მიგრაციის უმეტეს ნაწილს დამპყრობელთა შემოსევები წარმოადგენდა. ჯერ მონღოლების, შემდეგ კი ირანის და ოსმალეთის, აგრეთვე ლეკების, რომლებიც პერიოდულად შემოდიოდნენ, აოხრებდნენ საცხოვრებლებს და იტაცებდნენ მოსახლეობას, პირუტყვს, ქონებას.

აღსანიშნავია ერეკლე II-ს მმართველობის პერიოდი, როდესაც ქვეყანაში დიდი ყურადღება ეთმობოდა განათლებას, იხსნებოდა სასულიერო სემინარიები და სკოლები. აღადგინეს სტამბა, რომელიც ვახტანგ მეექვსემ ჩამოატანინა ვლახეთიდან (რუმინეთი), დიდი რაოდენობით იბეჭდებოდა წიგნები. მეფის ირგვლივ შეიკრიბა განათლებისა და

კულტურის მოღვაწეთა დასი, განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ეკლესიის გაძლიერებას.

მშვიდი ცხოვრების მოსაპოვებლად თბილისისკენ ბევრი ეროვნების ქრისტიანმა თუ არაქრისტიანმა იწყო წამოსვლა და აქ დასახლება. სომხებიც თავიანთ გადამრჩენად მიიჩნევდნენ ერეკლეს.

თბილისი ამიერკავკასიის პოლიტიკურ, კულტურულ და სავაჭრო ცენტრად იქცა დროებით.

XVI საუკუნეში კახეთიდან და საინგილოდან ათასობით ქართველი იძულებით გადაასახლეს ფერეიდანის მხარეში შაჰ აბასის ბრძანებით. ემიგრაციაში მათ თავიანთი ტრადიციების დღემდე შენარჩუნება და დიდ ქართულ დიასპორად ჩამოყალიბება მოახერხეს; იგივე ბედი ეწია XX საუკუნეში ოსმალთა მიერ თურქეთის ტერიტორიაზე გადასახლებულ ქართველებს, რომლებიც არ კარგავენ კავშირს საკუთარ კულტურულ

ფესვებთან;ორ საუკუნეზე მეტს ითვლის მიგრაცია რუსეთის მიმართულებით, სადაც ერთ-ერთი უმსხვილესი ქართული დიასპორა ცხოვრობს.

# 2. მიგრაციული პროცესები საქართველოში XX საუკუნეში

## 2.1 მიგრაციული პროცესები საქართველოში 1950-იან წლებამდე

მიგრანტთა მასობრივი ჩამოსვლა საქართველოში შეინიშნება 1920-იანი წლების ბოლოდან და უკავშირდება ფართოდ წამოწყებულ ინდუსტრიულ მშენებლობას, რომელიც დამატებით მუშახელს მოითხოვდა. საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის (სსრკ) სხვა რესპუბლიკებიდან მოსახლეობის შემოდინების პროცესი განსაკუთებით გაძლიერდა 1930-იან წლებში, როდესაც საბჭოთა კავშირში დაწყებული „კოლექტივიზაციისა“ და „განკულაკების“ შედეგად, რუსეთის სამხრეთ რეგიონებში, უკრაინასა და ყაზახეთში სასტიკი შიმშილობა დაიწყო. იქაური მოსახლეობა (ძირითადად, რუსები და უკრაინელები) გამოექცა რეპრესიებს, შიმშილს და საქართველოს შეაფარა თავი. 1926-1939 წლებში საქართველოში მცხოვრები რუსების რიცხვი გასამმაგდა (გაიზარდა 320%-ით), მაშინ, როდესაც ქართველთა რაოდენობა ქვეყნის შიგნით მხოლოდ 21,6%-ით გაიზარდა, შესაბამისად, ქართველთა ხვედრითი წილი რესპუბლიკის მოსახლეობის საერთო რაოდენობაში კიდევ უფრო შემცირდა (61%-მდე), რაც მთლიანად მიგრაციულ პროცესებს უკავშირდება: ამ პერიოდში საქართველოში ჩამოსულ მიგრანტთა რაოდენობა აღემატებოდა რესპუბლიკიდან გასულთა რიცხვს – საშუალოდ, 200 ათასი პირით წელინადში.

მეორე მსოფლიო ომის დროს საქართველოში ჩამოვიდა გერმანელთა მიერ ოკუპირებული ტერიტორიებიდან ევაკუირებული ათასობით ადამიანი, ძირითადად რუსები და უკრაინელები. ომის დასრულების შემდეგ მათი ნაწილი დაუბრუნდა ძველ საცხოვრებელ ადგილს, ნაწილი კი საქართველოში დამკვიდრდა.

იმდროინდელი მიგრაციული პროცესების განხილვისას შეუძლებელია არ აღვნიშნოთ, რომ ამ პერიოდში უამრავი ადამიანი იძულებით იყო გადასახლებული საქართველოდან პოლიტიკური რეპრესიების შედეგად: მაგალითად, ტოტალიტარული რეჟიმის პოლიტიკური მოწინააღმდეგენი, დისიდენტები ან, უფრო ხშირად, ჩვეულებრივი მოქალაქეები, რომელთაც უსაფუძვლოდ დაბრალდათ რეჟიმის წინააღმდეგ მოქმედება. ასეთი პირები, ოჯახები, ეთნიკური ან რელიგიური ნიშნით შერჩეული ადამიანთა ჯგუფები იმდროინდელი პოლიტიკური ხელმძღვანელობის აზრით, საფრთხეს უქმნიდნენ სახელმწიფოს. საბჭოურ ისტორიაში ცნობილია სსრკ-ს მკვიდრი ცალკეული ხალხების გაძევება, რომელიც საქართველოში მცხოვრებ გერმანელთა გადასახლებით დაიწყო: მაგალითად, კავკასიელი მთიელი მოსახლეობის, ჩეჩნებისა და ინგუშების, აგრეთვე მესხეთში მცხოვრები მუსლიმი ქართველების – ე.წ. "თურქი-მესხების" – ქურთებისა და სხვათა უპრეცედენტო გადასახლება 1944 წელს, სტალინის ბრძანებით; ასევე, პონტოელი ბერძნების დიდი ნაწილის გაძევება საქართველოდან 1949 წელს. არსებული შეფასებებით, პოლიტიკური რეპრესიების შედეგად, საქართველოდან იმ დროს 120 ათასზე მეტი ადამიანი იძულებით გადაასახლეს.

## 2.2 საქართველოს მოსახლეობის მიგრაცია 1950-1990 წლებში

თუ არ ჩავთვლით მცირერიცხოვან ქართულ ელიტას (რამდენიმე ათას კაცს), სსრკ-ში საზღვრების ჩაკეტვის გამო ხალხის გადინება ე.წ. „საბჭოთა ბანაკიდან," ფაქტობრივად, შეწყდა. ამ პერიოდში, სსრკ-ს სხვა რესპუბლიკებთან შედარებით, საქართველო არ გამოირჩეოდა დიდი მიგრაციული პროცესებით – მოსახლეობის გადინება ძირითადად მეზობელ სომხეთს არ გასცდენია.

შეიძლება ითქვას, რომ ამ დროისათვის საქართველოში სხვა რესპუბლიკებიდან მიგრანტთა შემოდინება შემცირდა, 1950-იანი წლების ბოლოდან კი უფრო მეტი მიგრანტი

გადიოდა რესპუბლიკიდან, ვიდრე შემოდიოდა. 1959-1989 წლებში საქართველოში ყოველ 100 გასულ პირს 80 ჩამოსული მიგრანტი ენაცვლებოდა.

განსახილველ პერიოდში მოსახლეობის ყველაზე მასობრივი გადინება საქართველოდან შეინიშნებოდა 1970-იან წლებში. მიგრაციის გამო ქვეყნის მოსახლეობას ყოველწლიურად აკლდებოდა, საშუალოდ, 15,400 ადამიანი, მაშინ, როდესაც წინა და მომდევნო წლებში სხვაობა ჩამოსულ და წასულ მიგრანტთა შორის არ აღემატებოდა 6-8 ათასს წელიწადში. ეს ნაწილობრივ აიხსნება საქართველოდან ებრაელთა ემიგრაციით ისრაელში, რომელიც 1970-იან წლებში დაიწყო; სხვა საბჭოთა რესპუბლიკებისგან განსხვავებით, მაშინდელი საქართველოს ხელმძღვანელობა არ ზღუდავდა ებრაელთა დაბრუნებას ისტორიულ სამშობლოში, თუმცა, საქართველოში მიგრაციულ ნაკადთა მიმართულების კარდინალურად შეცვლა და ქვეყნის გარდაქმნა მიგრანტთა მიმღები რესპუბლიკიდან მოსახლეობის გადინების ტერიტორიად სხვა მნიშვნელოვანმა ფაქტორებმაც განაპირობა, პირველ რიგში, საქართველოში მანამდე მიმდინარე მიგრაციულმა პროცესებმა.

1930-იან წლებში რუსეთიდან საქართველოში ჩამოსულ პირველი თაობის მიგრანტთა შთამომავლები გარდა, ქვეყნის ტერიტორიაზე ბევრი სამხედრო მოსამსახურის ოჯახი ცხოვრობდა წარმოშობით რუსეთიდან და სხვა საბჭოთა რესპუბლიკებიდან. სამსახურის დასრულების შემდეგ ისინი ოჯახებთან ერთად ხშირად რჩებოდნენ აქ დასამკვიდრებლად. ამავე დროს, ქვეყანაში მცხოვრები რუსების ინტეგრაცია ადგილობრივ საზოგადოებრივ-კულტურულ სივრცეში, ფაქტობრივად, არ მომხდარა. ზოგიერთი გამონაკლისის გარდა, ეს ადამიანები არ ფლობდნენ ქართულს, განათლებას იღებდნენ მშობლიურ ენაზე და უმრავლესობა არ დაუახლოვდა ადგილობრივ კულტურას. ამით აიხსნება ისიც, რომ შერეული ქორწინებები ქართველებსა და რუსებს შორის ქვეყანაში იშვიათობა გახლდათ.

არაქართული წარმოშობის ახალგაზრდები ცდილობდნენ, უმაღლესი განათლება საქართველოს გარეთ მიეღოთ და უკან, როგორც წესი, აღარ ბრუნდებოდნენ. ამასთანავე, ქართველებიც ხშირად მიისწრაფოდნენ რუსეთსა და სხვა მოკავშირე რესპუბლიკებში

სასწავლად, სადაც უმაღლესი განათლების მიღების შემდეგ ხშირად რჩებოდნენ სამუშაოდ და მკვიდრდებოდნენ კიდეც. ამაზე მეტყველებს თუნდაც ის, რომ რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ მცხოვრები ქართველების რაოდენობა 1959-1989 წლებში 91 ათასიდან 194 ათასამდე გაიზარდა.

საქართველომ, როგორც მდიდარი სასოფლო-სამეურნეო ტრადიციებისა და ხელსაყრელი კლიმატური პირობების მქონე ქვეყანამ, ინდუსტრიული განვითარების თვალსაზრისით დიდ წარმატებებს ვერ მიაღწია. ის ზოგადად ჩამორჩებოდა სხვა საბჭოთა რესპუბლიკებს ეკონომიკური განვითარების ტემპით, რამაც გამოიწვია ახალი სამრეწველო მშენებლობების შემცირება. აქედან გამომდინარე, საქართველოში დამატებითი მუშახელის მოზიდვის აუცილებლობა აღარ იდგა დღის წესრიგში. მეტიც,ქვეყანაში, განსაკუთრებით ზოგიერთ რეგიონში, შეიქმნა ჭარბი მუშახელის პრობლემა, რაც იქ მცხოვრებ მოსახლეობას აიძულებდა, დასასაქმებლად სხვაგან წასულიყო, მათ შორის რესპუბლიკის გარეთ. მაგალითად, სამცხე-ჯავახეთში მოსახლე სომხები გამუდმებით მიდიოდნენ დროებით სამუშაოებზე რუსეთის შორეულოლქებში, სადაც მაღალი ანაზღაურების შესაძლებლობები იყო და ასეთი გასვლები იქაური ოჯახების ეკონომიკური ქცევის მოდელად იქცა იმ დროს.

საქართველოს ეკონომიკურ განვითარებაში შექმნილმა ვითარებამ გარკვეული ბიძგი მისცა აქ მცხოვრებ რუსებს რუსეთში დაბრუნებისათვის. როგორც აღინიშნა, ეს, პირველ რიგში, ახალგაზრდების სასწავლად წასვლასა და იქ დარჩენაში გამოიხატებოდა.

1950-1989 წლები შეიძლება განისაზღვროს, როგორც საქართველოდან მოსახლეობის გადინების პერიოდი, ამ წლებში მიგრაციის გამო ქვეყანამ დაკარგა 280 ათასამდე ადამიანი. რესპუბლიკიდან გასულ მიგრანტთა რაოდენობა სხვადასხვა წელს იცვლებოდა – ხან მეტი იყო, ხან ნაკლები – მაგრამ, როგორც უკვე ითქვა, იგი ყოველთვის აჭარბებდა საქართველოში ჩამოსულთა რიცხვს. კიდევ ერთხელ უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ქვეყნიდან გასულ მიგრანტთა ძირითადი ნაწილი არაქართული მოსახლეობა იყო. მოსახლეობის აღწერის 1989 წლის მონაცემთა მიხედვით, ეთნიკური ქართველების უმრავლესობა (95%) კვლავ საქართველოს ტერიტორიაზე ცხოვრობდა.

## 2.3 მიგრაცია საქართველოში 1990-იანი წლებიდან

1990-იანი წლებიდან ქვეყანაში იწყება ახალი ეტაპი მიგრაციული პროცესების ისტორიაში – მოსახლეობის მასობრივი ემიგრაცია. უკვე ითქვა, რომ საქართველოდან მოსახლეობის გადინების პროცესი მანამდე დაიწყო. ამის გამო 1980-იან წლებში ქვეყანა ყოველწლიურად, საშუალოდ, 6-7 ათას პირს კარგავდა, თუმცა, დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ ემიგრაციული პროცესების ინტენსივობა მნიშვნელოვნად გაიზარდა. გარე მიგრაციის უარყოფითი სალდოს მიხედვით, 1989-2003 წლებში საქართველო მეორე ადგილზე იყო პოსტსაბჭოთა ქვეყნებს შორის, ყაზახეთის შემდეგ.

დამოუკიდებლობას მოჰყვა უამრავი გამოწვევა, რამაც ბიძგი მისცა ემიგრაციულ პროცესებს, კერძოდ: სამოქალაქო დაპირისპირება, სამხედრო კონფლიქტები საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების, აფხაზეთის და ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის, მოსახლეობის ცხოვრების დონის უპრეცედენტო ვარდნა, ქაოსი, კორუფცია მთავრობაში და ა.შ. ამგვარმა ვითარებამ არასტაბილურ პოლიტიკურ ფონზე საქართველოში საკმაოდ ხანგრძლივად გასტანა.

უნდა აღინიშნოს, რომ დამოუკიდებლობის პირველ წლებში ემიგრანტთა პირველი ნაკადი საქართველოდან ძირითადად ეთნიკური ხასიათისა იყო, რის გამოც, მნიშვნელოვნად შემცირდა ეროვნულ უმცირესობათა რიცხოვნობა და, შესაბამისად, გაიზარდა (70%-დან 84%-მდე 1989-2002 წლებში) ქართველების წილი მოსახლეობის საერთო რაოდენობაში.

ქვეყანაში შექმნილი მძიმე ეკონომიკური მდგომარეობის გამო, ეთნიკურ უმცირესობათა ემიგრაციის ტალღას მოჰყვა ქართველთა გადინებაც, პირველ რიგში, მეზობელ რუსეთში, სადაც დასაქმების მეტი შესაძლებლობები იყო, ხოლო მოგვიანებით – სხვა ქვეყნებშიც, დასავლეთ ევროპასა და აშშ-ში. თავდაპირველად, საქართველოდან

მიდიოდნენ ე.წ. ელიტარული წრეების წარმომადგენლები – მსახიობები, მომღერლები და ა,შ, ამ დროს მიგრაციული ნაკადები დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის (დსთ) ტერიტორიაზე ე.წ. „გამჭირვალე“ საზღვრების პირობებში მოძრაობდნენ და ეს პროცესი გარკვეულ ხანს რეალურად არც კონტროლდებოდა.

განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა აფხაზეთიდან და ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქიდან ეთნიკური წმენდის შედეგად წამოსული 250 ათასზე მეტი ადამიანი. დევნილთა უმრავლესობა საქართველოს სხვადასხვა რეგიონში დასახლდა, მაგრამ ბევრმა მათგანმა დატოვა ქვეყანა და ემიგრაციაში წავიდა – რუსეთში თუ სხვაგან დასამკვიდრებლად. საქართველოს ფარგლებს გარეთ ისინი ცდილობდნენ ლტოლვილის სტატუსის მიღებას, რამაც გარკვეულწილად ხელი შეუწყო მათ დარჩენას უცხოეთში მოსახლეობის ემიგრაცია საქართველოდან დამახასიათებელია მთელი განსახილველი პერიოდისათვის, 1990-იანი წლებიდან დღემდე. მაგრამ მისი მასშტაბი დროთა განმავლობაში საგრძნობლად მცირდება. თუ 1992-1996 წლებში საქართველო ემიგრაციის გამო საშუალოდ 135 ათას ადამიანს კარგავდა წელიწადში, 1990-იანი წლების მეორე ნახევრიდან ეს რიცხვი ნახევრდება, 2000-იანი წლების დასაწყისში კი მერყეობს 30-35 ათასის ფარგლებში. ისევე, როგორც სხვა მრავალ ქვეყანაში, საქართველოშიც ძნელია, ზუსტად განვსაზღვროთ ამჟამინდელ მიგრაციულ ნაკადთა მასშტაბები. მიუხედავად ამისა, ქვეყანა სერიოზულად მუშაობს მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, რაც გულისხმობს: სხვადასხვაგვარი სარეგისტრაციო სისტემების შემოღებას, ქართველ მიგრანტთა ადგილ-სამყოფელი უცხო ქვეყნის საიმიგრაციო სამსახურებთან თანამშრომლობის განვითარებას, ახალი ანალიტიკური სისტემების შემუშავებას და ა.შ.

მნიშვნელოვანია, რომ საქართველოში მიგრანტთა ადრეული ნაკადებისგან განსხვავებით, რომლებიც ქვეყანას ძირითადად სამუდამოდ ტოვებდნენ, 1990-იანი წლების მეორე ნახევრიდან შეიცვალა ემიგრანტთა კატეგორია: ისინი, ჩვეულებრივ, დროებით სამუშაოდ მიდიოდნენ უცხოეთში და რამდენიმე ხანში უკან ბრუნდებოდნენ. ეკონომიკური სიდუხჭირის პირობებში დროებითი შრომითი მიგრაცია საქართველოში ხშირ

შემთხვევებში „გადარჩენის სტრატეგიად“ იქცა: ქვეყანაში მცხოვრები ოჯახების 6-10%-ს ერთი წევრი მაინც ჰყავდა უცხოეთში სამუშაოდ.

თანამედროვე მიგრაციულ ნაკადებს საქართველოდან ძირითადად დროებითი შრომითი მიგრაცია განსაზღვრავს. ქვეყანაში დღესაც ბევრია ისეთი შინა-მეურნეობა, სადაც ოჯახის ერთი ან რამდენიმე წევრი საზღვარგარეთ არის სამუშაოდ. კვლევები აჩვენებს, რომ შრომითი მიგრანტები საქართველოდან უცხოეთში, საშუალოდ, სამ წლამდე რჩებიან და შემდგომ ბრუნდებიან საკუთარ ოჯაზებსა და სამშობლოში. ამასთან, მიგრანტთა ნაკადების შემადგენლობა საქართველოდან მუდმივად იცვლება.

# 3. საქართველოს მიგრაცია დღეს

## 3.1 ზოგადი მიმოხილვა

წარსული პერიოდის განხილვის შემდგომ დროა თვალი გადავავლოთ იმ ვითარებას რასაც საქართველოში ჰქონდა ბოლო წლებში. მდგომარეობის მძაფრად აღსაქმელად საჭიროა გავაანალიზოთ ის თანამედროვე მიგრაციული პროცესები, რასაც საქართველოში ვხვდებით. როგორც ნაშრომის პირველ ნაწილში ვიხილეთ, გლობალიზაციის პროცესების დაწყებამდე და საერთოდ სიტყვა გლობალიზაციის წარმოშობამდე საქართველოს ტერიტორიაზე ყოველთვის იყო ინტენსიური მიგრაციური ნაკადები რასაც თანამედროვე გამოწვევებს და ქვეყნის პოლიტ-ეკონომიკურ მდგომარეობას დავუმატებთ მივიღებს იმ სავალალო სურათს, რისი მომსწრენიც დღეს ვართ. საკმაოდ დიდი სირთულესთან ასოცირდება იმ ფაქტორთა გამოყოფა რომელიც ხელს უწყობს ამ პროცესების წარმოშობას, ასეთი მზიეზები შეიძლება იყოს, როგორც პოლიტიკური ასევე ეკონომიკური, სოციალური და რაც მთავარია თავად ინდივიდის გადაწყვეტილებაზე დამოკიდებული. არც თუ ისე შორეულ წარსულში მიგრაციის მთავარ მიზეზად პოლიტიკურ არასტაბილურობას დავასახელებდით, მაგარამ ეს გარემოება ეკონომიკურმა გარემოებებმა გადაფარა და შედეგად მოვიღეთ ზღვა შრომითი მიგრანტების ნაკადებისა. საქართვეელოს არასტაბილური ეკონომიკა პირდაპირაა დაკავშირებული დასაქმების შესაძლებლობებთან, რითაც საქართველო ნამდვილად ვერ დაიკვეხნის. საქართველოს ეკონომიკაში გატარებული გარდაქმნები, როგორიცაა სამეწარმეოს საქმიანობის გამარტივება და მიმზიდველი საინვესტიციო გარემოს შექმნა, საკმაოდ შედეგიანია მსოფლიო ბანკის ანგარიშის „Doing Business 2017“ მიხედვით, საქართველოს რეიტინგმა 7 საფეხურით მაღლა აიწია და 190 ქვეყნაში 16 ადგილზე გადაინაცვლა, . Heritage Foundation-ის „ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი 2017“-ის მიხედვით, საქართველომ წინა წელთან შედარებით 10 ადგილით გაიუმჯობესა პოზიცია და მსოფლიოს 180 ქვეყანას შორის მე-13 პოზიცია დაიკავა კვლავ

„უმეტესად თავისუფალი“ სახელით[7], ასევე დიდი ძვრებია კორუფციის საკითხში Transparency International“-ის მიერ 2017 წელს გამოქვეყნებული ანგარიშის მიხედვით, 2016 წელს „კორუფციის აღქმის ინდექსში“ („Corruption Perception Index“) საქართველოს რეიტინგი 4 საფეხურით გაუმჯობესდა და 176 ქვეყანას შორის 48-ე ადგილიდან 44-ე ადგილზე გადმოინაცვლა[8], ხოლო აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის რეგიონის (EECA) 19 ქვეყანას შორის საქართველომ კვლავ პირველი პოზიცია შეინარჩუნა, ეს ყველაფერი ნამდვიალდ უწყობს ხელს იმიგრაციული ნაკადების ზრდას, მაგრამ მაინც ვერ ახერხებს ემიგრაციული ნაკადების შემცირებას. უფრო რომ დავაკონკრეტოთ იმიგრაციაც და ემიგრაციაც ისეთი ფაქტორებით იამრთება, როგორიცაა განათლების და ჯანდაცვის ხარისხი, პოლიტიკური სტაბილურობა და ეკონომიკური მდგრადობა.

დღედსღეობით მიგრაციული კანონმდებლობა ბევრად უფრო წინაა წასული. ნათლად და გასაგებადაა ჩამოყალიბებული დებულებები და მონაცემები, რომელბიც დაგვეხმარება გავიგოთ ამ პროცესების მასშტაბები. პირველ რიგში უნდა ავღნიშნოთ რომ საქსტატის მონაცემები ყველაზე ზუსტია, რაც შეიძლება იქნას მოძიებული ამ რეალობაში, რადგან იგი ეყრდნობა შინაგან საქმეთა სამინისტროს მონაცემებს საზღვრის კვეთის შესახებ. „სუბიექტი (მოქალაქეობრივი კუთვნილების მიუხედავად) ითვლება იმიგრანტად, თუ მან გადმოკვეთა საქართველოს საზღვარი და ბოლო 12 თვის განმავლობაში სულ მცირე 183 დღე იმყოფებოდა საქართველოს ტერიტორიაზე და საქართველო არ იყო მისთვის მუდმივი საცხოვრებელი ქვეყანა (ანუ მას საქართველოს საზღვრებს გარეთ წინა 12 თვეში გატარებული აქვს, სულ მცირე, 183 დღე)“[9].

სანამ ძირითად პოლიტ-ეკონომიკურ მიგრაციულ ნაკადებზე გადავალთ, აუცილებელია საკმაოდ საინტერესო და  არც თუ ისე უმნიშნელო პროცესი განვიხილოთ, ესაა ტრანზიტული მიგრაცია საქართველოს ტერიტორიაზე. რა იგულისხმება ამაში? როგორც მოგვეხსენება საქართველო გეოგრაფიულად საკმაოდ ხელსაყრელ ადგილასაა,

[7] მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისია, საქართველოს 2017 წლის მიგრაციის პროფილი
[8] მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისია, საქართველოს 2017 წლის მიგრაციის პროფილი
[9] საქსტატის წერილი მწვანე კავკასიას N 11-697 14/03/2018
http://www.ivote.ge/GREENCAUCASUS/wp-content/uploads/2018/06/Updated-Report_Public-Information-about-Immigration_May_2018.pdf

რისი დამსახურებაც იყო ამდენად ფართო სპექტრის მიგრაციული პროცესები. თავდაპირველად ეს პროცესი აბრეშუმის გზამ წამოიწყო, დღეს კი საქართველოს მოქალაქეობის მიღება შესაძლოა თავისუფლად ჩავთვალოთ ნაკლებ განვითარებული ქვეყნების მოსახლეობის იმედად მარტივად მოხვდენდნ ევროკავშირში. როგორც ვიცით 2017 წლის 3 მარტს გამოქვეყნდა N539/2001 რეგულაცის ცვლილება რომელიც ქართველ მოსახლეობას აძლევდა საშუალებას 28 მარტიდან უვიზო მიმოსვლა განეხორცილებინათ ევროკავშირის წევრ ქვეყნებში. ეს ტენდენცია საკმაო პოპულარობისთ სარგებლობს ევროკავშირთან უვიზო მიმოსვლის ქვეყნებში. უდგას თუა რა ეს საფრთხე საქართველოს? ეს მოსაზრება არც თუ ისე უსაფუძვლოდ გამოიყურება, მიუხედავად იმისა რომ, ამჟამად სტატსიტიკური მონაცემები საქართველოს მოქალქეობის მიღების არც თუ ისე საგანგაშოა და არცაა აღმოჩენილი მიზეზ-შედეგობრივი კავშირი მასა და ვიზალიბერალიზაციას შორის, ყოველი შემთხვევისთვის ამისგან თავის დასაცავად და ფიქტიური ქორწინებების და კორუფციული სქემების ჩახლართვის თავიდან ასარიდებლად სასურველია საქართველოს მოქალაქეობის მისაღებად საჭირო ვადების გონივრულ ჩარჩოებში ზრდა და ბინადრობის უფლების მიღების გამარტივება. ამ პორცესისი ანალიზს მსურველებმა სასურველია შეადარონ 2017 წლის 28 მარტის შემდგომი მონაცემები ერთმანეთს და შემდგომ გამოიტანონ დასკვნა. ამ  მონაცემებით კი ჯერჯერობით არანაირი საგანგაშო მონაცემია არ გვაქვს.

**გრაფიკი 1.**




| | 2009 | 2010 | 2011 | 2012 | 2013 | 2014 | 2015 | 2016 | 2017 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| რუსეთი | 2013 | 2771 | 3741 | 2960 | 3071 | 1887 | 1401 | 1781 | 1676 |
| თურქეთი | 8 | 16 | 40 | 22 | 2796 | 21 | 40 | 73 | 306 |
| სომხეთი | 11 | 48 | 104 | 148 | 119 | 106 | 161 | 268 | 26 |
| აზერბაიჯანი | 4 | 1 | 0 | 1 | 0 | 376 | 97 | 24 | 9 |

შენიშვნა: 2013 წ საქართველოს პრეზიდენტმა მოსაქაქეობა მიანიჭა საგამონაკლისო წესით თურქეთის 2766 მოქალაქეს.

წყარო: მწვანე კავკასია, საჯარო ინფორმაცია იმიგრაციის შესახებ. 2018 წ.

ასევე არმხოლოდ უშუალო მეზობლებს უდნა ვადევნოთ თვალი არამედ ახლო აღმოსავლეთის ქვეყნების დინამიაკსაც.

**გრაფიკი 2.**




წყარო: მწვანე კავკასია, საჯარო ინფორმაცია იმიგრაციის შესახებ. 2018 წ.

მართალია საქართველო პატარა ქვეყანაა მაგრამ ხშირად ხდება თავშესაფრის მაძიებელი მოსახლეობის შემფარებელი ქვეყანა. ზოგადად „თავშესაფრის უფლება (Right to asylum) არის პოლიტიკური შეხედულებებისა და საქმიანობისთვის საკუთარ ქვეყანაში დევნილი მოქალაქის ან მოქალაქეობის არმქონე პირის უფლება, თავი შეაფაროს სხვა სახელმწიფოს და არ იქნეს დაბრუნებული თავისსავე ან სხვა სახელმწიფოში, რომელიც მას დევნის.“[10] კანონის მიხედვით, როდესაც უცხოელი საქართველოსში საერთაშორისო დაცვის მიღების სურვისლს პირდაპირ ან არაპირდაპირ გამოთქვამს, ეს უკვე ითვლება საერთაშორისო დაცვის მოთხოვნად. ხოლო სახელმწიფოსთვის წერილობით მიმართვის შემდგომ კი იგი ითვლება ოფიციალურ თავშესაფრის მაძიებლად. რა სიტუაცია გვაქვს საქართველოში ამ მიმართულებით? საქართველოში არსებული კონფლიქტური

[10] საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 47.2

სიტუაციების გარე ქვეყნებისთვის იდიალურ ბაზად ნამდვიალდ არ ვართ ჩამოყალიბებული მაგრამ ამის მიუხედავათ გვაქვს შემდეგი სახის მონაცემები:

**გრაფიკი 3.**




“ //2012-2017 წლებში საქართველოში თავშესაფრის ყველაზე მეტი - 4181 მაძიებელი ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებიდან იყო, მ.შ. ყველაზე მეტი - ერაყიდან (2995), გაცილებით ნაკლები იყო ეგვიპტიდან (351), ირანიდან (297), სირიიდან (227), პაკისტანიდან (104), ავღანეთიდან (94), იემენიდან (64), ლიბანიდან (20) და იორდანიიდან (14). ახლო აღმოსავლეთის სხვა ქვეყნების მოქალაქეებმა თავშესაფრის მიღების თხოვნით მხოლოდ ერთეულ შემთხვევებში მომართეს საქართველოს. ამ წლებში ლტოლვილის/ჰუმანიტარული სტატუსი მიენიჭა ერაყის 741 მოქალაქეს, ეგვიპტის 23, ირანის 39, სირიის 101, პაკისტანის 10, იემენის 3, ლიბანის 6 და იორდანიის 1 მოქალაქეს, უარი თავშესაფარზე მიიღო ახლო აღმოსავლეთის ქვეყნების 978-მა მოქალაქემ. დანარჩენ შემთხვევებში საქმეები განხილვის პროცესშია სხვადასხვა მიზეზით შეწყდა.

შედარებით ნაკლები - 475 იყო თავშესაფრის მაძიებლების რაოდენობა აფრიკის კონტინენტის ქვეყნებიდან, მათგან ყველაზე მეტი შემთხვევა ნიგერიიდან (139), სომალიდან (76), ერითრეადან (69), კოტ დ'ივუარიდან (43), კამერუნიდან (31), განადან (24), სუდანიდან

(21), კონგოდან (15) და მაროკოდან (13). აფრიკის კიდევ 17 ქვეყნიდან შემთხვევათა რაოდენობა 1-დან 10-მდე იყო, სულ 44 მაძიებელი.[11]

აფრიკის კონტინენტის ქვეყნებიდან თავშესაფრის მაძიებელთაგან მხოლოდ 10-მა პირს დაუკმაყოფილდა თხოვნა, მ.შ. ლტოლვილის სტატუსი მიიღო სუდანის 6-მა მოქალაქემ და სიერა-ლეონეს 1-მა მოქალაქემ, ხოლო ნიგერიის 2-მა და კოტ-დ'ივუარის 1-მა მოქალაქემ მიიღეს ჰუმანიტარული სტატუსი. დანარჩენ შემთხვევებში საქმეები განხილვის პროცესშია სხვადასხვა მიზეზით შეწყდა.

ცენტრალური აზიის ქვეყნებიდან სულ 41 მაძიებელი იყო, მ.შ. 19-უზბეკეთიდან, 13 - ყაზახეთიდან, 5 -ყირგიზეთიდან და 4 - ტაჯიკეთიდან. ლტოლვილის სტატუსი მიიღეს უზბეკეთის 7-მა, ტაჯიკეთის 2-მა და ყაზახეთის 1-მა მოქალაქემ. თავშესაფარზე უარი ეთქვა უზბეკეთის 5, ყაზახეთის 9 და ყირგიზეთის 4 მოქალაქეს, დანარჩენ შემთხვევებში საქმეები განხილვის პროცესშია სხვადასხვა მიზეზით შეწყდა.

აზიის სხვა ქვეყნებიდან 345 მაძიებელი იყო, მ.შ. 193 ბანგლადეშიდან, 119 ინდოეთიდან, 20 შრი-ლანკადან, 12 ნეპალიდან და 1 ჩინეთიდან. ჰუმანიტარული სტატუსი მიიღი მხოლოდ შრი-ლანკას 2-მა მოქალაქემ. უარი ეთქვა ბანგლადეშის 65, ინდოეთის 38, შრილანკას 12 და ნეპალის 3 მოქალაქეს, დანარჩენ შემთხვევებში საქმეები განხილვის პროცესშია სხვადასხვა მიზეზით შეწყდა.

2012-2017 წლებში ევროპისა და აღმოსავლეთ ევროპის არამეზობელი ქვეყნების 916ნ მაძიებლიდან 900 უკრაინიდან იყო. მათგან საქართველოში თავშესაფარი მიიღო მხოლოდ 511-მა უკრაინელმა, 82 უკრაინელს, 1 რუმინელს, 2 ბულგარელს, 1 ფრანგს, 1 გერმანელს და 1 სერბს თავშესაფარზე უარი ეთქვა, დანარჩენ შემთხვევებში საქმეები განხილვის პროცესშია ან სხვადასხვა მიზეზით შეწყდა.

საქართველოს მოსაზღვრე ქვეყნებიდან თავშესაფრის თხოვნა 2012-2017 წლებში 453 პირისაგან შემოვიდა, მ.შ. ყველაზე მეტი რუსეთიდან (204) და თურქეთიდან (147), შედარებით ნაკლები - აზერბაიჯანიდან (74) და სომხეთიდან (28). ამ წლებში ლტოლვილის ს/ტატუსი მიენიჭა რუსეთის 30 მოქალაქეს, ხოლო ჰუმანიტარული - 7 მოქალაქეს, უარი

[11] მწვანე კავკასია, საჯარო ინფორმაცია იმიგრაციის შესახებ. 2018 წ.

მიიღო 95-მა პირმა. ასევე, ლტოლვილის სტატუსი მიიღო აზერბაიჯანის 5-მა მოქალაქემ, ხოლო 21 პირს თავშესაფარზე უარი ეთქვა. თურქეთისა და სომხეთის არც ერთ მოქალაქეს საქართველომ ამ წლებში თავშესაფარი არ მისცა, უარი ეთქვა თურქეთის 87 და სომხეთის 14 მოქალაქეს, დანარჩენ შემთხვევებში საქმეები განხილვის პროცესშია სხვადასხვა მიზეზით შეწყდა.

ამდენად, 2012-17 წლებში ჯამურად იყო თავშესაფრის 6457 მაძიებელი, საქმეები შეწყდა 2842 შემთხვევაში, 1580 პირს ეთქვა უარი, ხოლო 1505-მა პირმა მიიღო თავშესაფარი საქართველოში, მ.შ. 237 პირს (15,7%) მიენიჭა ლტოლვილის სტატუსი, ხოლო 1268 პირს (84,3%) - ჰუმანიტარული სტატუსი”[12]

**დიაგრამა 1.**




წყარო: მწვანე კავკასია, საჯარო ინფორმაცია იმიგრაციის შესახებ. 2018 წ

[12] მწვანე კავკასია, საჯარო ინფორმაცია იმიგრაციის შესახებ. 2018 წ.

## 3.2 უცხოელი სტუდენტები ქართულ უნივერსიტეტებში

ხშირად გაგვიგონია მოსახლეობის წუხილი იმაზე, რომ თანამედროვე ახალაგზრდობას მუდმივად საზღვარგარეთ განათლების მიღება და შემდეგ მათი გონებრივი შესაძლებლობების უცხო ქვეყნის შრომით ბაზარზე გამოყენება სურთ. რეალურად ეს მართლაც შეესაბამება სტატისტიკას, რომელსაც ვაწყდებით ყოველი მე-10 სტუდენტი ერთი სემესტრი მაინც ყოფილა საზღვარგარეთ სასწავლებლად. მაგრამ, არავინ დაფიქრებულა რომ ეს პროცესები ორმხრივია, მას თან საკმაოდ დიდი რაოდენობის შემხვედრი ნაკადები ახლავს. საქსტატის 2017-2018 წლების  მონაცემებით საქართველოში უცხო ენოვან სტუდენტების რიცხვი 10000 გასასცდა, მიუხედავად იმისა რომ ამის საწყისი არც თუ ისე შორი წარსულია, 2005-2006 წლებიდან დაწყებული ეს პროცესები საკმაოდ დიდი მასშტაბებს აღწევს და ასევე მზარდი პერსექტივით გამოირჩევა.

„მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისიას გამოქვეყნებული აქვს მოკლე ფორმატის მიგრაციის პროფილი „უცხოელი სტუდენტები საქართველოში“ (2017),15 რომელშიც მოყვანილი და გაანალიზებულია სწავლის მიზნით იმიგრაციის სურათი და პროცესები. მასში აღნიშნულია, რომ „თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის (ISET) კვლევის თანახმად, საქართველოში უცხოელი სტუდენტების ჯამური წლიური ფინანსური ხარჯი 195 მილიონ ლარს აღწევს, რაც საქართველოს მთლიანი შიდა პროდუქტის 0.6%, ხოლო მომსახურების ექსპორტის 6%-ია“.[13]

„განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ინფორმაციით, 16 2017-2018 სასწავლო წელს საქართველოს 56 უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლობს 10306 სტუდენტი მსოფლიოს 89 ქვეყნიდან.“[14]

**დიაგრამა 2.**

[13] მწვანე კავკასია, საჯარო ინფორმაცია იმიგრაციის შესახებ. 2018 წ.

[14] განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის წერილი მწვანე კავკასიას  N MES 4 18 00104524 01/02/2018




წყარო: საქართველოს გაანთლების და მეცნიერების სამინისტრო

**დიაგრამა 3.**




წყარო: საქართველოს გაანთლების და მეცნიერების სამინისტრო

ფრიად საინტერესოა ის ფაქტი რომ საქართველოს განათლების სისტემამ მოახერხა ჩამოეყალიბებინა ისეთი სასწავლებლები და პროგრამები, რომლებიც დააინტერესებდა უცხოეროვან მოსახლობას. მათი რაოდენობა დღითიდღე იზრდება და ის თანხები რასაც ისინი საქართველოში მიღებულ განთლებაში დებენ მნიშვნელოვნად ადგება უნივერსიტეტებს კეთილმოაწყონ მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, რის შედეგადაც აქვთ შესაძლებლობა განავითარონ ახალი, უფრო ხარისხიანი საგანმანათლებლო პროგრამები. როგორც „მიგრაციის პროფილშია“ აღწერილი, ეს შედეგები საქართველოს ეკონომიკაზე მოკლევადიანია, რადგან ისინი მოქმედებენ მანამ სანამ ეს სტუდენტები საქართველოში სწავლობენ, ხოლო როდესაც იღებენ განთლების სრულ კურს ბრუნდებიან სამშობლოში, ეს დაებითი ეფექტები ეკონომიკაზე კი ქრება[15]. გზძელვადიანი ეფექტების მისაღებად საჭიროა, დავაინტერესოთ ეს ნაწილი სტუდენტებისა მიიღონ პრაქტიკული გამოცდილება საქართველოში და გააგრძელონ სწავლა და მშაობა საქართველოში.

## 3.3 ემიგრაცია და ეკონომიკური ზრდა

მიჩნეულია, რომ მოსახლეობის იმ ნაწილის ემიგრაცია, რომელსაც მაღალი განათლება და ადამიანური კაპიტალის სხვა მახასიათებლები აქვს, შეიძლება ქვეყნის ეკონომიკური განვითარების შემაფერხებელ ფაქტორად იქცეს. ეს პროცესი, რომელიც შესაბამის ლიტერატურაში „ინტელექტის გადინებით“ არის ცნობილი, ხდება იმის გამო, რომ ქვეყანაში დარჩენილი დაბალკვალიფიციური მოსახლეობა ვერ ანაცვლებს მაღალკვალიფიციურ ემიგრანტებს თავისი მწარმოებლობის დონით. არაკვალიფიციური მშრომელების ემიგრაცია კი ნაკლებად ახდენს გავლენას ეკონომიკის განვითარების ტემპზე. ხშირად არაკვალიფიციური კადრები ჭარბობს ქვეყანაში, შესაბამისად, მათი დაკარგვა დიდ პრობლემას არ წარმოადგენს საწარმოო შესაძლებლობათა შემცირების თვალსაზრისით. ასეთი სახის ემიგრანტთა ეკონომიკურ ზრდაზე პოზიტიური გავლენა შეიძლება

[15] მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისია, მოკლე ფორმატის მიგრაციის პროფილი უცხოელი სტუდენტები საქართველოში, 2017 წ.

მომდინარეობდეს მათი კვალიფიკაციის ამაღლებიდან არაკვალიფიციური მიგრანტები, რომლებიც სხვა ქვეყნებიდან ბრუნდებიან, ხშირად იძენენ ეკონომიკური განვითარებისათვის საჭირო უნარებსა და გამოცდილებას.

როგორც აღვნიშნეთ, უცხოეთში შრომითი მიგრაციისას ემიგრანტებს თან მიაქვთ საკუთარი სამუშაო პოტენციალი და ადამიანური კაპიტალი. არსებული მტკიცებულებები მეტყველებს იმაზე, რომ ემიგრანტები, ჩვეულებრივ, უფრო განათლებულები არიან, ვიდრე წარმოშობის ქვეყნის საერთო მოსახლეობა. ეს ხშირად იმიტომ ხდება, რომ უფრო განათლებული ინდივიდები შედარებით იოლად პოულობენ ინფორმაციას დანიშნულების ქვეყნებზე და, შესაბამისად, უფრო მარტივად ინტეგრირდებიან ადგილობრივ საზოგადოებაში. მსგავსი ტენდენცია შეინიშნება საქართველოშიც, სადაც, ბოლო შეფასებებით, მიგრანტების განათლების საშუალო ხანგრძლივობა 12.7 წელია, მაშინ, როდესაც მთლიანი მოსახლეობის განათლების საშუალო პერიოდი ორი წლით ნაკლებია,"

განვითარებადი ქვეყნებიდან უმაღლესი განათლების მქონე ადამიანების მათ შორის, ექიმების, ინჟინრებისა და სხვა პროფესიონალების – ემიგრაცია განვითარებულ ქვეყნებში ჩვეულებრივ მოვლენად იქცა. ამ შემთხვევაში, ადამიანური კაპიტალის ფორმირებისათვის გაწეული ხარჯები გამგზავნ ქვეყანაში შეიძლება დაკარგულად ჩაითვალოს. ეკონომიკური ზრდის მოდელის მიხედვით, რომელიც ტექნოლოგიურ ცვლილებებს დიდ მნიშვნელობას ანიჭებს, გამგზავნი ქვეყნების გრძელვადიანი ეკონომიკური ზრდის ტემპი ემიგრაციის შედეგად კლებულობს. თუმცა, თუ გავითვალისწინებთ ეკონომიკურ ზრდაზე მოქმედ სხვა მრავალ ფაქტორს, ემიგრაციას შეიძლება არ ჰქონდეს გამოკვეთილი უარყოფითი შედეგი.[16]

ზემოთ მოყვანილი მსჯელობა ეხება ემიგრაციის უშუალო გავლენას ეკონომიკურ ზრდაზე, მაგრამ ეკონომისტები ასევე განასხვავებენ ფულადი გზავნილების როლს ერთ სულზე წარმოებული მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდაში. არსებული კვლევები არ იძლევა საშუალებას, ზუსტად გავარკვიოთ ფულადი გზავნილების გავლენა ეკონომიკურ ზრდაზე.

[16] Michaela Vanore and Melissa Segel, The Evolution of Gendered Migration Trajectories from Moldova and Georgia, Comparative Migration Studies 3 (1). 2015, pg. 1-21,

ზოგიერთი მკვლევარი მიუთითებს დადებით გავლენაზე, რაც ძირითადად განპირობებულია შინამეურნეობათა შემოსავლების ზრდით. ე.წ. მულტიპლიკატორის ეფექტი ზრდის ერთობლიე მოთხოენას ეკონომიკაში, რაც, საბოლოოდ, აისახება წარმოების მოცულობაზე[17]. ფულადი გზავნილების შემოდინება ასევე ეხმარება ქვეყანას უცხოური ვალუტის რეზერვთა შევსებაში, რაც აუცილებელია იმპორტირებული საქონლის შესაძენად, ეკონომისტები, რომელთა აზრითაც ფულადი გზავნილები არ ახდენს პოზიტიურ გავლენას ეკონომიკურ ზრდაზე, მიუთითებს, რომ ეს რესურსები ხშირად არააუცილებელ მოხმარებაზე იხარჯება და არ ბანდდება პროდუქტიულ ინვესტირებაში. კვლევები ასევე აჩვენებს, რომ ფულადი გზავნილები ეკონომიკური ზრდისთვის განსაკუთრებით ხელსაყრელია ნაკლებად განვითარებული საფინანსო სისტემის მქონე ქვეყნებში, რადგან დაფინასების ეს მეთოდი გვევლინება ინვესტირებისა და ლიკვიდურობის ერთ-ერთ წყაროდ.

2000-იანი წლების დასაწყისიდან ეკონომიკური ზრდა საქართველოში საკმაოდ მაღალი ტემპებით ხასიათდებოდა, თუმცა, რუსეთ-საქართველოს ომმა და მსოფლიო ფინანსურმა კრიზისმა უარყოფითი გავლენა იქონია მასზე 2008-09 წლებში. ეკონომიკური პროგრესი ამ პერიოდში ძირითადად განპირობებული იყო წინსვლით ეკონომიკის ისეთ სექტორებში, როგორიცაა ვაჭრობა, მშენებლობა, ფინანსები და მრეწველობა.% ჩამოთვლილი სექტო- რებიდან ფულადი გზავნილების გავლენა ყველაზე მნიშვნელოვანია ვაჭრობის განვითარებაზე, რაც, თავის მხრივ, განპირობებულია ერთობლივი მოთხოვნის" სტიმულირებით." ზოგიერთი შეფასებით, მიმღებ შინამეურ- ნეობებში ფულადი გზავნილების უდიდესი ნაწილი იხარჯება საქონლითა და მომსახურებით სარგებლობაზე", გამომდინარე იქიდან, რომ საქართველოში იმპორტზე მოდის მოხმარების ნახევარზე მეტი, ვაჭრობის დარგი მჭიდროდ უკავშირდება საგარეო ეკონომიკურ ურთიერთობებს. მისი წილი მთლიან გამოშვებაში 2014 წელს 17.4% გახლდათ, რაც აღემატება ყველა სხვა ცალკე აღებულ დარგში გამოშვების მოცულობას. ეკონომიკის ეს სფერო იყო გამოშვების ზრდის

[17] Gyan Pradhan, Mukti Upadhyay and Kamal Upadhyaya, Remittances and Economic Growth in Developing Countries. The European Journal of Development Research 20 (3), 2008, pg. 497-506,

ერთ-ერთი მთავარი მამოძრავებელი ფაქტორიც, ისეთ სექტორებთან ერთად, როგორიცაა სახელმწიფო მმართველობა, საფინანსო შუამავლობა, სოციალური, საგანმანათლებლო და ჯანმრთელობის მომსახურების სფეროები.”

ემიგრანტთა ფულადი გზავნილები პირდაპირ გავლენას ახდენს საქართველოს ეკონომიკაზე,ვინაიდან უცხოური ვალუტისა და ეროვნული რეზერვების ერთ- ერთი ძირითადი წყაროა”, 2010 წელს საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციები დაახლოებით უტოლდებოდა ფულად გზავნილთა მოცულობას, თუმცა 2013 წლისთვის ინვესტიციური აქტიურობის შემცირების შედეგად ფულადი გზავნილები უკვე 1.6- ჯერ აღემატებოდა პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს.“ უცხოეთიდან შემოსული ინვესტიციები ხშირად მიჩნეულია ეკონომიკური ზრდის მნიშვნელოვან ფაქტორად,“ მაგრამ ნაკლები ყურადღება ექცევა ემიგრანტთა ფულად გზავნილებს. როგორც აღვნიშნეთ, ეკონომიკურ ზრდაზე გავლენა ძირითადად გამომდინარეობს დანახარჯებიდან სამომხმარებლო პროდუქტებზე რადგან მიმღები შინამეურნეობები მიღებული თანხების, დაახლოებით, 80%-ს ხარჯავენ საკვებზე, ჩასაცმელზე, წამლებსა და კომუნალურ გადასახადებზე. გზავნილები ასევე ხელს უწყობს საქართველოში იმპორტის ზრდას, ვინაიდან მოხმარებაში იმპორტის წილი ძალიან მაღალია.

## 3.4 მიგრაციის სალდო საქართველოში

საბჭოთა კავშირის დაშლამდე, მიგრაცია ამ კავშირში შემავალი ქვეყნები-სათვის, და მათ შორის საქართველოსათვის, განიხილებოდა როგორც ერთ კავშირში შემავალი ქვეყნების რესპუბლიკათაშორისი მიგრაცია და არა საერთაშორისო (გარე) მიგრაცია მიღებული განმარტებით. ნებისმიერი სახის ტერიტორიული გადაადგილება (რესპუბლიკის შიგნით ან გარეთ), მკაცრად რეგულირდებოდა მაშინდელი წესით: განსაზღვრულ მისამართზე პიროვნებების სავალდებულო რეგისტრაციით, ე.წ. „პროპისკას სისტემით“. მოსახლეობის გადაადგილება ძირითადად განპირობებული იყო შრომით მიგრაციასთან,

განათლების მიღებასთან, ქორწინებასა და ურბანიზაციის პროცესთან", აღსანიშნავია რომ სპეციფიკური სამუშაო ადგილების შევსების მიზნით, ადგილი ჰქონდა ახალგაზრდა პროფესიონალებისა და კვალიფიციური მუშების გადანაწილებას ერთი რესპუბლიკიდან მეორეში, ე.წ გეგმიური მიგრაცია.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ წარმოქმნილმა დამოუკიდებელმა სახელმწიფოებმა, ახალმა საერთაშორისო საზღვრებმა და იმ რეალობამ, როდესაც აღარ არსებობდა საბჭოთა ხელისუფლების მიერ თავისი მოქალა-ქეებისათვის შექმნილი ხელოვნური „ბარიერები" სიტუაცია რადიკალურად შეცვალა. ყოფილი საბჭოთა კავშირის ნებისმიერ მოქალაქეს შეეძლო ემოგზაურა საზღვარგარეთ ხელოვნური დაბრკოლების გარეშე და რესპუბ- ლიკათაშორისი მიგრაცია შეიცვალა საერთაშორისო მიგრაციით.

1990-იან წლებში, საქართველოში არსებულმა პოლიტიკურმა არასტაბილურობამ, სოციალურ-ეკონომიკურმა კრიზისმა გამოიწვია როგორც შრომითი მიგრანტების ისე ეთნიკური უმცირესობების გადინება მეზობელ ახლად შექმნილ დამოუკიდებელ ქვეყნებში და ინდუსტრიულად განვითარებულ ქვეყნებში. ამ პერიოდში გარე მიგრაციული ნაკადების რეგისტრაცია მკვეთრად გაუარესდა." 2004 წლამდე პერიოდში მიგრაციის სტატისტიკური აღრიცხვის სისტემა საქართველოში შინაარსობრივად არ შეცვლილა საბჭოთა კავშირის დროინდელთან შედარებით: ამ პერიოდისთვის (1990-იანი წლებიდან 2004 წლამდე) გარე მიგრაციის შესახებ მონაცემები მოიპოვებოდა ე.წ. ჩაწერისა და ამოწერის ბარათების საფუძველზე მაშინდელი „მილიციის (პოლიციის) განყოფილებებიდან და ნაკლები სანდოობით გამოირჩეოდა, მაგალითად, აღნიშნული მონაცემებით 1990-2001 წლებში გარე მიგრაციის სალდომ შეადგინა -136.6 ათასი. მაშინ როდესაც 2002 წლის მოსახლეობის აღწერის შემდეგ ალწერათაშორისი პერიოდის გადაანგარიშების შედეგად, იმავე (1990-2001 ნწ.) პერიოდში მიგრაციის სალდო -911 ათასად იქნა მიჩნეული.

მიგრაციის ძირითად მაჩვენებელად დადგენილია მიგრაციის სალდო. იგი არი ყველაზე გამოყენებადი მაჩვენებელი, რომელსაც იყენებენ მიგრაციის ანალიზის დროს. თუ ქვეყანაში შემოსულ მიგრანტთა რაოდენობა ( იმიგრანტთა) მეტია ვიდრე გასული

მოსახლეობის ( ემიგრანტების) მაშინ ეს სალდო დადებითი მაჩვენებელია. იგი მიგვანიშნებს რომ მიგრაციული ნაკადების გამო ქვეყნის მოსახლეობა მატულობს. ხოლო უარყოფითი სალდოს დროს კი ემიგრანტების რიცხვი აჭარბებს იმიგრანტებისას. რათქმაუნდა არსებობს კონეფიცინეტი რომლის მიხედცვითაც ვგებულობთ განსაზღვრულ ტერიტორიაზე მიგრაციული პროცესების ინტენსივობიას გარკვეულ კალენდარულ პერიოდში, და მას მიგრაციის კოეფიციენტი ეწოდება (M). მიგრაციის კოეფიციენტი გვიჩვენებს მიგრანტთა რაოდენობას მოსახლეობის 1000 სულზე გაანგარიშებით. იგი გამოიანგარიშება ფორმულით ფორმულა 1. M= $\frac{MI}{P} * 100$

**ცხრილი 1.**

| წლები | მიგრაციის სალდო | მიგრაციის კოეფიციენტი (მოსახლეობის 1000 კაცზე) |
|---|---|---|
| 2001 | -45 686 | -11,4 |
| 2002 | -23 130 | -5,8 |
| 2003 | -26 376 | -6,7 |
| 2004 | -16 758 | -4,3 |
| 2005 | -25 518 | -6,5 |
| 2006 | -12 086 | -3,1 |
| 2007 | -23 418 | -6,1 |
| 2008 | -20 542 | -5,3 |
| 2009 | -34 948 | -9,2 |
| 2010 | -30 438 | -8,0 |
| 2011 | -35 982 | -9,6 |
| 2012 | -21 521 | -5,8 |
| 2013 | -2 606 | -0,7 |
| 2014 | -6 620 | -1,8 |
| 2015 | -3 408 | -0,9 |
| 2016 | -8 060 | -2,2 |
| 2017 | -2 212 | -0,6 |
| 2018 | -10 783 | -2,9 |

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

## 3.5 ინფლაცია და გაცლითი კურსი

ძირითადი გზა, რითაც ემიგრაცია შეიძლება გავლენას ახდენდეს ქვეყანაში ფასების ზრდაზე, ემიგრანტთა ფულადი გზავნილებია. ვინაიდან ამ გზავნილების შემოდინება იწვევს დამატებით ეკონომიკურ აქტივობას, პროდუქციასა და მომსახურებაზე მოთხოვნისა და მოხმარების ზრდასთან ერთად, ვარაუდობენ, რომ ფულადი გზავნილები ხელს უწყობს ინფლაციურ პროცესებს, განსაკუთრებით, გრძელვადიან პერიოდში. სხვადასხვა ქვეყანაში ჩატარებული კელევების ნაწილი ადასტურებს ინფლაციის და ფულადი გზავნილების დადებით კავშირს, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს, რომ მსგავსი ეფექტი საქართველოშიც შეინიშნება.

მიგრანტების მიერ გამოგზავნილმა ფულადმა ნაკადმა შეიძლება საქონელსა და მომსახურებაზე მოთხოვნის ზრდაც გამოიწვიოს და ეროვნული ვალუტის გაცვლით კურსზეც მოახდინოს გავლენა", სამომხმარებლო მოთხოვნის ზრდა იწვევს ფასების მომატებას, მაგრამ ეს ეფექტი შეიძლება უმნიშვნელო იყოს, როცა ფულადი გზავნილების წილი შედარებით მცირეა მოსახლეობის მთლიან შემოსავლებში. ამასთან, ცნობილია, რომ ქვეყანაში შემოსული გზავნილები მთლიანად არ იხარჯება მოხმარებაზე. გარდა ამისა, ვინაიდან ფულადი გზავნილები უცხოურ ვალუტაშია, მიმღებ შინამეურნეობებს მიღებული რესურსების გამოყენებისათვის ესაჭიროებათ გამოგზავნილი ფულის, მაგალითად, ამერიკული დოლარის, ევროს, რუსული რუბლისა თუ თურქული ლირის გადაცვლა ლარზე.

გაზრდილი მოთხოვნა ადგილობრივ ვალუტაზე იწვევს მისი ფასის ზრდას, ანუ გაცვლითი კურსის გამყარებას, რასაც შეიძლება ახლდეს ფულადი გზავნილების მსყიდველუნარიანობის შემცირება. მაგალითად, ზოგიერთი ექსპერტი 2014 წლის ბოლოს ლარის გაცელითი კურსის მკეეთრ დაცემას პირდაპირ უკავშირებდა ქვეყანაში ფულადი

გზავნილების შემცირებას. იმ ქვეყნებში, სადაც მოხმარებული საქონლის დიდი ნაწილი იმპორტირებულია, ეროვნული ვალუტის გამყარებამ შეიძლება გამოიწვიოს ფასების შემცირება. საქართველოში ემიგრაციისა და ინფლაციის კავშირის შესახებ ერთადერთი ცნობილი კვლევა ცალსახა პასუხის გაცემის საშუალებას არ იძლევა. თუმცა, ჩატარებული ეკონომეტრიკული ანალიზი მიუთითებს, რომ 2000-2012 წლების იმ თვეებში, როდესაც გაიზარდა ფულადი გზავნილები, ინფლაცია შემცირების ტენდენციით ხასიათდებოდა.

## 3.6 მიგრანტები საქართველოდან

საქსტატის 2014 წლის მოსახლეობის აღწერით დადგინდა რომ მოსახლეობს 28.5% წარმოადგეს შიდა მიგრანტებს (ქალები 66.4%; მამაკაცები 33.6%). იმიგრანტტთა წინა საცოვრებელს რუსეთსი ფედერაცია წარმოადგენდა, 8,3% კი საბერძნეთში იყო დასახლებული მათი ასაკი 20 დან 54 - მდე მერყეობდა.[18] რუსეთის სიჭარბე მიგრირებულ მოსახლეობის წინა საცხოვრებელშ გამოწვეულია 2006 წლის დეპორტაციის პოლიტიკიტ. როგორც მოგვეხსენება ამ დროს მოხდა 1500 და მეტი  ადამინის კოლექტიური დეპორტი რუსეთის ფედერაციიდან.

[18] პაატა შავიშვილი,მოსახლეობის 2014 წლის აღწერის ძირითადი შედეგები.

ცხრილი 2.

| | *საქალაქო დასახლება* | | *სასოფლო დასახლება* | |
|---|---|---|---|---|
| | მამაკაცი | ქალი | მამაკაცი | ქალი |
| *რუსეთი* | 7363 | 3528 | 6277 | 2027 |
| *საბერძნეთი* | 1526 | 7236 | 860 | 4426 |
| *თურქეთი* | 1671 | 4449 | 1591 | 2211 |
| *იტალია* | 1013 | 5743 | 360 | 2496 |
| *გერმანია* | 2179 | 2652 | 629 | 799 |
| *აშშ* | 2146 | 2328 | 311 | 236 |
| *ესპანეთი* | 1224 | 1394 | 500 | 479 |
| *საფრანგეთი* | 1554 | 1176 | 342 | 221 |
| *უკრაინა* | 1630 | 415 | 989 | 249 |
| *აზერბაიჯანი* | 222 | 186 | 869 | 525 |
| *სხვა ქვეყანა* | 4597 | 3718 | 1886 | 1389 |
| *არ არის მითითებული* | 285 | 330 | 158 | 146 |
| *სულ* | 25410 | 33155 | 14772 | 15204 |

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

როგორც ჩანს, 2002 წლის შემდეგ წასული ემიგრანტები ამჟამინდელი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით შემდეგნაირად არიან განაწილებულნი: რუსეთი – 21.7%, საბერძნეთი – 15.9%, თურქეთი – 11.2%, იტალია 10.9%, ხოლო ემიგრანტების დაახლოებით 40% სხვა ქვეყნებშია გადანაწილებული. ამასთან აღსანიშნავია, რომ მამაკაცი ემიგრანტებისათვის ძირითად დანიშნულების ქვეყანას რუსეთი წარმოადგენს (33.9%), ხოლო ქალი ემიგრანტები უპირატესობას ევროპის ქვეყნებს ანიჭებენ, რაც შესაძლებელია გამოწვეულია დასაქმების პერსპექტივებით. აღსანიშნავია, რომ გარე მიგრაციისა და მოსახლეობის შესახებ საქსტატის გარდა გამოიყენება სამეცნიერო შეფასებებიც, რომელიც ხშირ შემთხვევაში განსხვავდება ერთმანეთისაგან.

1990-იანი წლებიდან საქართველოს მოსახლეობა მნიშვნელოვნად შემცირდა და მიმდინარეობს მოსახლეობის დემოგრაფიული დაბერების პროცესი. ამ პერიოდში,

მოსახლეობის კლება გამოწვეულია ბუნებრივი მატების შემცირებით, მაგრამ ძირითადი ფაქტორი მოსახლეობის კლების მაინც დაკავშირებულია ემიგრაციასთან.

თითქმის მთელი პერიოდის განმავლობაში, ადგილობრივი ექსპერტები საქართველოს მოსახლეობის რაოდენობას აფასებენ უფრო ნაკლებად, ვიდრე– ოფიციალური სტატისტიკა. 2000-იანი წლებიდან განსხვავება ოფიციალურ სტატისტიკისა და შეფასებით მონაცემებს შორის იზრდება მნიშვნელოვნად (10-15%-ის ფარგლებში). ეს განსხვავება შესაძლებელია გამოწვეული იყოს დაბადებულთა და გარდაცვლილთა არასრული რეგისტრაციის, თუმცა მნიშვნელოვნად მაინც გარე მიგრაციასთან არის დაკავშირებული. ხოლო პერიოდი, გარე მიგრაციის სალდო დადებითია ხოლო შეფასებითი მონაცემებით, მთელი პერიოდის განმავლობაში გარე მიგრაციის სალდო უარყოფითია.

პროცესის ეკონომიკური ასპექტების კვლევისას ყურადღება უნდა გავამახვილოთ საკუთრივ ემიგრანტების ეკონომიკურ მდგომარეობაზეც მიმღებ ქვეყნებში, ამ თეალსაზრისით, საინტერესოა ამონარიდი ეაშინგტონ პოსტში 1997 წლის 29 ივნისს გამოქვეყნებული სტატიიდან:

„ამჟამად, მთელი ვაშინგტონის მასშტაბით, ნებისმიერი ტაქსის მძღოლად ან ნებისმიერი ჰამბურგერის გამყიდველად შეიძლება გადააწყდეთ უცხოელს, რომელსაც ოდესღაც რაღაც უფრო ამაღლებული უკეთებია შემოსავლის მიღების მიზნით, ეს ადამიანი შეიძლება იყოს პაკისტანელი ინჟინერი, ბოლივიელი სკოლის მასწავლებელი, ფილიპინელი ბუღალტერი ან, შესაძლოა, ვიეტნამის არმიის ყოფილი ოფიცერიც კი.“[19]

მოყვანილი ციტატა, აშშ-ს გარდა, კარგად მიესადაგება ბევრ ევროპულ ქვეყანას, სადაც ქართველი ემიგრანტები ჩადიან და პოულობენ სამსახურს. მიგრანტები, რომლებიც ნაკლებად განვითარებული და გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებიდან განეითარებულ სახელმწიფოებში მიემგზავრებიან სამუშაოდ, ხშირად ფლობენ ისეთ განათლებასა და

[19] Parnea Constable, Facing the Harsh Reality of the American Dream: For Many imenigrants, Settling in U.S. Means Working for Minimum Wage Despite Experience or Education. Washington 29 ივნისი, 1997.

გამოცდილებას, რომელიც ბევრად აღემაჭება მათ მიერ შესრულებული სამუშაოს მოთხოვნებს. მიუხედავად იმისა, რომ ემიგრანტების დიდი ნაწილი მიმღებ ქვეყანაში იძულებულია, შეეგუოს დაღმასვლას პროფესიულ იერარქიაში და შეასსრულოს გაცილებით ნაკლებად პრესტიჟული სამუშაო ვიდრე, ემიგრაციამდე ჰქონდა (ან შეეძლოთ ჰქონოდათ!, მაინ, ემიგრირებას ანიჭებს უპირატესობას. ამის ძირითადი მიზეზი ისაა, რომ თუნდაც არაკვალიფიციური სამსახურით, რომელსაც ხშირად შოულობენ ემიგრაციაში, უფრო მეტად ახერხებენ საკუთარი და შვილების უკეთესი მომაელის უზრუნველყოფას, ვიდრე პრესტიჟული სამუშაო ადგილებით თავიანთ სამშობლოში.

არსებული ეკონომიკური კვლევების მიმოხილვა მეტყველებს, რომ ნაკლებად კვალიფიციური სამუშაოს შესრულების გარდა, განვითარებულ ქვეყნებშიჩასული ემიგრანტები ადგილობრივ მოსახლეობაზე უფრო დაბალ შემოსავალს იღებენ, იმ შემთხვევაშიც კი, თუ ამ ქვეყნის მოქალაქეთა მსგავსი სამსახური, გამოცდილება და განათლება აქვთ. ეს ტენდენცია მიანიშნებს იმიგრანტთა უნარ-ჩვევებისა და გამოცდილების ნაკლებად დაფასებაზე მიმღებ ქვეყნებში. მაგალითად, აშშ-ში ჩასულ ემიგრანტთა შემოსავლები 15 წლის განმაელობაშიუფრო დაბალი რჩება, ვიდრე ადგილობრივებისა, თუმცა, ეს სხვაობა დროთა განმავლობაში შემცირების ტენდენციით ხასიათდება. სწორედ ამ ფაქტორებიდან გამომდინარე, ცალკეული იმიგრანტთა ჯგუფები, როდესაც მათი სიდიდე მნიშვნელოვნად იზრდება, ხშირად თვითდასაქმებულნი არიან და სხეადასხეა ეკონომიკურ სექტორს აგითარებენ, იმიგრანტების ოფიციალური განათლებაც ნაკლებად ფასობსმიმღები ქვეყნის დამსაქმებლებისათვის. მაგალითად, ისრაელში, სადაც საწასული ბევრი ემიგრანტი ცხოვრობს, შრომით ბაზარზე ინდივიდთა განათლების ფასი დამოკიდებულია იმაზე, სად მიიღეს ამ ადამიანებმა განათლება. ყველაზე მაღალი შეფასება ეძლევა ისრაელის პროფესიულ და უმაღლესი საგანმანათლებლო ინსტიტუტების ფორმალურ დიპლომებს. ასევე აღსანიშნავია, რომ დაქვეითება პროფესიულ იერარქიაში და ნაკლებად პრესტიჟული სამუშაოს შესრულება დამოკიდებულია იმიგრაციის ფორმასა და წარმოშობის ქვეყანაზე. ჩვეულებრიე, ყველაზე დაბალანაზღაურებადი და ნაკლებპრესტიჟული სამსახურის შესრულება უწევთ ლტოლვილებს, ასევე, იმ ქვეყნის წარმომადგენლებს, სადაც სამუშაო

ძალის სტქრუქტურა და მოსახლეობის ძირითადი ენა ძალიან განსხვავედება მიმღები ქვეყნის შესაბამის მაჩვენებელთაგან ლტოლვილების პროფესიულ დაქვეითებას ხშირად განსაზღვრავს ის გარემოება, რომ მათ სწრაფად უწევთ საკუთარი სამშობლოს დატოვება, რაც შეუძლებელს ხდის განათლებისა და სამუშაო გამოცდილების მტკიცებულებათა წარდგენას დამსაქმებლებისთვეის.

ესპანეთი, რომელიც ბოლო წლებში იქცა ქართველი ემიგრანტების ერთ- ერთ ძირითად მიმღებ ქვეყნად ევროპაში, კარგი მაგალითია ევროკავშირის არაწევრი ქვეყნებიდან შესულ მიგრანტთა პროფესიულ იერარქიაში ცვლილებებზე დასაკვირვებლად. ასეთი ადამიანები ესპანეთში იმიგრირებისშემდეგ უამრავ წინააღმდეგობას აწყდებიან მრომით ბაზარზე ფორმალური ინტეგრირებისას, რაც ხშირად განაპირობებს მათ დასაქმებას ჩრდილოვანი ეკონომიკის სექტორში, ასევე აღსანიშნაეია, რომ თუ ადამიანები იწყებენ მუშაობას ტრადიციულად იმიგრანტებით დასაქმებულ დარგებში, უფრო ხშირად განიცდიან პროფესიულ იერარქიაში დაღმასვლას. სოციალურ იერარქიაში დაქვეითებას ახლავს არაპირდაპირი ეკონომიკური შედეგებიც. მაგალითად, ეს პროცესი ხშირად უკავშირდება ჯანმრთელობის პრობლემებს, ლათინოამერიკელ და აზიელ ემიგრანტებს, სოციალური სტატუსის მნიშვნელოვანი დაღმასვლის გამო, ხშირად ეწყებათ დეპრესიანდა მასთან დაკავშირებული ჯანმრთელობის პრობლემები. თუმცა, ეს ურთიერთდამოკიდებულება შეიძლება უკუკავშირითაც გამოიხატოს, თუ ჯანმრთელობის პრობლემები უარყოფით გაელენას ახდენს მიგრანტთა ასიმილაციაზე მიმღებ ქეეყანაში.

### 3.7.1 ქართველი ემიგრანტები საბერძნეთში

შრომით მიგრანტთა მიერ დანიშნულების ქვეყნის არჩევა დამოკიდებულია მრავალ ფაქტორზე. სამუშაოს შოენის შესაძლებლობასთან ერთად, გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება დანიშნულების ქვეყნის გეოგრაფიულ დაშორებას სამშობლოსთან, ამ ქვეყანაში ლეგალურად ანარალეგალურად მოზეედრის სირთულესა თუ სოციალურ-ეთხნიკური

კავშირების არსებობას და მის მოსახლეობასთან კულტურულ სიახლოვეს, ეს ფაქტორები მნიშენელოვნად უიოლებენ მიგრანტებს აზალ გარემოში ადაპტაციას, შესაბამისი სამსახურის მოძიებასა და შემდგომ ინტეგრაციას.

მიუხედავად იმისა, რომ ბერძნულ ენას საქართველოს მოსახლეობის მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილი ფლობს, საბერძნეთი საქართველოსთვის საიმიგრაციო ქვეყნის კარგი მაგალითა. 2010-იანი წლების პირველ ნახევარში ეს ქვეყანა იყო ქართველი ემიგრანტების ერთ-ერთ ძირითადიდანიშნულების ადგილი ევროპაში, მიუზედავად იმისა,რომ არალეგალური ქართველი ემიგრანტების მაღალი წილის გამო, არ არის ცნობილი მათი რეალური რიცხვი საბერძნეთში, ამ მიგრაციის მნიშენელობის ზრდაზმეტყველებს საქართეელოს ეროვნული ბანკის ფულადი გზავნილების მონაცემთა დინამიკა. ჯერ კიდეე 2007 წელს საბერძნეთიდან საქართვე: ლოში იგზავნებოდა აღრიცხული ფულადი გზაენილების მხოლოდ 3%. თუმცა, ეს მაჩვენებელი შემდგომი 7 ნლის განმავლობაში მნიშვნელოვნად გაიზარდა: 2010 წელს უკეე 10%-ს შეადგენდა, ხოლო 2014 წელს – 14%-ზე მეტს.

ერთადერთი ოფიციალური წყარო ქართველი მიგრანტების რაოდენობისა და მდგომარეობის შესახებ საბერძნეთში არის ამ ქვეყნის სახელმწიფო სტატისტიკური სამსახურის მონაცემები, მათ მიხედვით ირკვევა, რომ 2012 წლის ბოლოს საქართველოდან ჩასული ლეგალური ემიგრანტების საერთო რაოდენობა შეადგენდა 23,502-მდე ადამიანს, რომელთა 73% ქალი იყო. ასეთი გენდერული განაწილება ქართველ მიგრანტთა შორისკიდევ უფრო გამოიკვეთა ბოლო წლებში, რაც, ძირითადად, გამოწვეულია საბერძნეთის მძიმე ეკონომიკური კრიზისით. კერძოდ, ეკონომიკის იმ სექტორებს, რომლებშიც, ტრადიციულად, კაცები არიან დასაქმებულნი (მაგალითად, მრეწველობა და მშენებლობა), უფრო მეტად შეეხო 2008-2009 წლებში დაწყებული ეკონომიკური კრიზისი, მაშინ, როდესაც ოჯახებში მომელელებად მუშაობის დარგზე, სადაც დასაქმებულია მიგრანტ ქალთა დიდი ნაწილი, შედარებით ნაკლებად აისახა ეს სირთულეები. ამ ცელილებებიდან გამომდინარე,

უმუშევრობის დონემ საქართველოდან წასულ მამაკაცებს შორის მიაღწია 70%-ს, ქალებისთვის კი ესმაჩვენებელი მხოლოდ 22% იყო.

საქართველოს მოქალაქეების დიდი ნაწილის არალეგალურად ყოფნა საბერძნეთის ტერიტორიაზე გავლენას ახდენს მათ ეკონომიკურ მდგომარეობაზე. ეკონომიკური მოწყვლადობა კიდევ უფრო იზრდება შინამეურნეობებში მომვლელებად მუშაობისას, ვინაიდან ეს სეტორი უფრო ძნელად ექვემდებარება რეგულირებას. საბერძნეთში საქართველოს საკონსულოსა და კავკასიის კულტურული ცენტრის წარმომადგენელთა განცხადებით, ქართველი მიგრანტების შრომითი უფლებები არ არის რეალურად დაცული, ვინაიდან ისინი, ძირითადად, სიტყვიერი შეთანხმებისა და არაფორმალური კონტრაქტის საფუძველზე მუშაობენ, რასაც დამსაქმებლები ხშირად თავის სასარგებლოდ იყენებენ, ამ შეთანხმებათა მხოლოდ გარკვეული ასპექტების შესრულებით. მაგალითად, ყოფილა შემთხვევები, როდესაც დამსაქმებლებს უარი უთქვამთ ანაზღაურების გადახდაზე, რადგან დარწმუნებულნი იყვნენ, რომ ქართველი იმიგრანტები არ მიმართავდნენ სამართლებრივ გზას საკუთარი უფლებების დასაცავად[20].

[20] Michasla Maroufol, trepuar Migration between Georgia and Greece Everyone Can Cross a Low Force, Athens: Hellenic Foundation for Europea and Foreign Policy, 2013.

# 4. საქართველოში არსებული მიგრაციის ეკონომიკური აქპექტები

## 4.1 ემიგრაციის ეკონომიკური შედეგები

### 4.1.1 ემიგრაცია, სიღარიბე და უთანასწორობა

ეკონომიკური თეორია არ იძლევა ერთმნიშვნელოვან პასუხს, როგორ უკაევშირდებ ემიგრაცია ქეეყანში დარჩენლი მოსახლეობის კეთილდღეობას, მისი გავლენის შესწავლა ქეეყანაში არსებულ სიღარიბესა და უთანასწორობაზე მოითხოვს ემპირიული კვლევების ჩატარებას. ფულადი გზავნილების მიმღები შინამეურნეობები სარგებელს ნახულობენ თავიანთი ნათესავების ან ახლობლების ემიგრირების შედეგად. ასეთ შინამეურნეობებში, ჩვეულებრივ, ნაკლები მოთხოვნილებებია დასაკმაყოფილებელი. მეორე მხრივ, შემოსავალი, რომლის მიღებაც ემიგრირებულ ინდივიდს შეეძლო ქვეყანაში დარჩენის შემთხვევაშიი იკარგება შინამეურნეობისათვის. იქიდან გამომდინარე, რომ ემიგრანტები ხშირად არიან საზოგადოების ყველაზე აქტიური წევრები, დაკარგული შემოსავლები (ან საკუთარი წარმოება, მაგალითად, სოფლის მეურნეობაში) შეიძლება აჭარბებდეს შემცირებული მოთხოენილებებისა და მიღებული ფულადი გზავნილების ეფექრს, არ არის გამორიცხული, რომ აღნიშნულმა პროცესმა, საბოლოოდ, გამოიწეიოს ქეეყანაში დარჩენილი მოსახლეობის სიღარიბის ზრდა, იმ შემთხვევაშიც კი, თუ თეითონ ემიგრანტები ეკონომიკურ სარგებელს ნახულობენ[21].

ბევრ ქვეყანაში ჩატარებული კვლევები აჩვენებს, რომ ფულად გზავნილებს შეუძლია სიღარიბის დონის, სიმწვავისა და სიღრმის შემცირება. თუმცა,ისიც აღსანიშნავია, რომ

[21] John Gison, David McKenzie aed Steven Sefiman, Accounting for Selectivity and Ovration Dependent Heterogeneity When Estimating the Impact of Emigration on incomes and Powerty in Sending Areas, Economic Development and Cultural Change 61 (2), 2013. გვ. 247-80

ემიგრაციის გავლენა ქვეყანაში დარჩენილი მოსახლეობის სიღარიბის დონეზე ზოგადად არ არის ცალსახა, ემიგრაციის ეფექტი სიღარიბესა და უთანასწორობაზე დიდწილად უკავშირდება იმას, რა ტიპის შინამეურნეობებიდან ემიგრირდებიან ინდიეიდები და, შესაბამისად, ვინ იღებს უცხოეთიდან შემოსულ ფულად გზავნილებს. თუ ისინი განკუთვნილია შედარებიძთ უკეთეს მდგომარეობამი მყოფი შინამეურნეობებისათვის, ემიგრაციამ შეიძლება გაამძაფროს ქვეყანაში დარჩენილი მოსახლეობის ეკონომიკური უთანასწორობა.

1990-იანი წლების დასაწყისიდან საქრთველოში სიღარიბე უკავშირდება მდგომარეობას შრომით ბაზარზე, კერძოდ, ინდივიდთა უმუშევრობას, არასრულ დატვირთვას და დაბალ შემოსავლებს არსებული დასაქმებიდან.

ცნობილია, რომ საქართველოში ემიგრაციისადმი მიდრეკილება და ასევე საკუთრივ ემიგრაციაში გამგზავრება მჭიდროდ უკავშირდება შინამეურნეობის სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას. ფულადი გზავნილების არსიც, უმეტეს შემთხვევაში, სწორედ ისაა, რომ ემიგრანტებმა გააუმჯობესონ ქვეყანაში დარჩენილი ნათესავების ეკონომიკური მდგომარეობა. სხვაობა ემიგრანტების უცხოეთში მიღებულ შემოსავლებსა და სავარაუდო შემოსავლებს მორის საქართველოში, მნიშვნელოვანი მიზეზია იმისათვის, რომ მიიღონ გადაწყვეტილება ემიგრაციის სასარგებლოდ – არა მარტო დასაელეთ ევროპისა და ამერიკის, არამედ რუსეთის ფედერაციისა და თურქეთის მიმართულებითაც.

სიღარიბის შემცირებაში ფულადი გზავნილების როლზე საქართველოში ჩატარებული ანალიზი მეტყველებს იმაზე, რომ ასეთი სახით მიღებული რესურსები არ ახდენს თანაბარ გაელენას ეკონომიკის ყეელა სექტორსა და რეგიონზე. ამ გზავნილების როლი საკმაოდ მცირეა სიღარიბისა და შემოსავლების განანილების თვალსაზრისით. ასეთი ეფექტი შეიძლება აიხსნას იმით, რომ შედარებით შეძლებული შინამეურნეობები ღარიბ შინამეურნეობებზე მეტი სიხშირით იღებენ ფულად გზავნილებს. აგრეთვე, ფულადი შემოსავლები არაპროპორციულად ნაწილდება - დიდი ნაწილი მიემართება საქართველოს

ურბანულ დასახლებებში და არა სოფლად, რომელიც 1990-იანი წლების ბოლოდან სიღარიბის უფრო მაღალი დონით ხასიათდება.

ფულადმა გზავნილებმა თეორიულად შეიძლება გაამწვავოს სიღარიბის პრობლემა, თუ მის გასაზომად გამოიყენება სიღარიბის შეფარდებითი და არა აბსოლუტური მაჩვენებელი. ჩვენთვის ცნობილი უკანასკნელი კვლევის მიხედვით, ამგვარი გზავნილები, დაახლოებით, 2%-ით ამცირებს სიღარიბის დონეს, თუ სიღარიბე იზომება მედიანური მოხმარების 60%-ით. ამავე დროს ფულადი გზავნილების მიმღებთა მორის, დაახლოებით, 3-4% არის უღარიბეს შინამეურნეობათა მეხუთედიდან. ამ კელევის მიხედვით, ასევე სავარაუდოა, რომ ფულადი გზავნილები ამცირებს ჯინის კოეფიციენტს, დაახლოებით, 2%-ით. საბოლოოდ, შეიძლება ითქეას, რომ გაზრდილი ერთობლივი მოთხოვნის მიუხედავად, ფულადი გზავნილები არათუ ვერ აღმოფხვრის სიღარიბეს, არამედ ვერც მნიშენელოვნად შეამცირებს[22].

---

### 4.1.2 ემიგრაცია, დასაქმება და უმუშევრობა

ამ ქვეთავში განვიხილავთ ურთიერთკავშირს ემიგრაციასა და ქვეყანაში დარჩენილი მოსახლეობის დასაქმებასა თუ უმუშევრობას შორის.

სხვადასხვა ქვეყანასა და კონტექსტში ჩატარებული კვლევები მეტყველებს, რომ კავშირი ემიგრაციასა და დასაქმების მაჩვენებლებს შორის არ არის (კალსახა. ემიგრაციამ შეიძლება გაზარდოს ან შეამციროს უმუშევრობა, ქვეყნის სამუშაო ძალის ბაზარზე არსებული მდგომარეობის, ემიგრირებული მოსახლეობისა და მათი ფულადი გზავნილების თავისებურებებიდან გამომდინარე. მაგალითისათვის, მექსიკიდან ამერიკაში წასულ

[22] Kakulia, Labour Migrants' Reenittances to Georgia.

ემიგრანტთა ფულადი გზავნილები ცვლის სამუშაო ძალის მინოდებასნ დასაქმების სხვადასხვა სფეროში, მათ შორის, ამცირებს ქალთა დასაქმებას ჩრდილოვან ეკონომიკაში[23].

ემიგრაცია დასაქმების შედარებით მაღალი დონის ქვეყნებიდან – მაგალითად, დასავლეთ ევროპიდან, სადაც უმუშევრობა, ჩვეულებრიე, დიდხანს არ გრძელდება - იწვევს დარჩენილ დასაქმებულთათვის სახელფასო განაკვეთების ზრდას[24]. მთლიანობაში, სამუშაო ძალის ემიგრაციის შედეგად, ეკონომიკის გამომუშავება კლებულობს, თუმცა, დაბალკვალიფიურმა მუშა- ხელმა შეიძლება სარგებელი ნახოს აღნიშნული ცვლილებებით. ცხადია, საქართველო არ მიეკუთვნება იმ ქვეყნების რიცხვს, სადაც უმუშევრობა დაბალია. განსხვავებული მდგომარეობა შეიძლება შეიქმნას, როდესაც მიგრანტებს მარტივად ანაცვლებს ქეეყანაში დარჩენილი მოსახლეობა. ასეთი ვითარებაა იმ ქვეყნებშიც, სადაც, უმუშევრობა მაღალია და არსებული მუშახელი არ არის სრულად დასაქმებული. განხილული ორივე შემთხვევა გავრცელებულია მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში, თუმცა, დაბალკვალიფიციური მუშახელის ემიგრაცია, ჩეეულებრიე, მიმდინარეობს ისეთი ქვეყნებიდან, სადაც ემიგრანტების ჩანაცვლება იოლია.

საქართველოსთვის შეიძლება საინტერესო იყოს აღმოსავლეთ ევროპის ზოგიერთი ქვეყნის გამოცდილება, მაგალითად, პოლონეთის, ჩეხეთისა და უნგრეთის, სადაც, სახელმწიფო სექტორში სამუშაო ადგილების დაკარგვისა და ზოგადი ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესების შედეგად, 1990-იანი დაბალკვალიფიციური მუშაბელისს გადინებს მნიშენელოვანად არ დაუზიანებია ამ ქვეყნების შრომითი ბაზრები. პირიქით, მასობრივმა ემიგრაციამ, შესაძლოა,შეამცირა კიდეც ქვეყანაში დარჩენილი მოსახლეობის უმუშევრობის პრობლემა.

მას შემდეგ, რაც მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი იღებს ქვეყნის დატოვების გადაწყვეტილებას, ემიგრაციასა და დასაქმება/უმუშევრობას შორის ურთიერთკავშირს,

[23] Catalina Amucdo-Oorartes and Susan Pozo, Migration, Rervttances, and Male and Female Employment Patterns. The American Economic Review 96 (2), Amerkan Economic Association, 2006, 49. 222-26,
[24] Lowka T. Katee', Robert £.8, Luces and Theodora Menopari, Efects of Migration on Sending Countries: What Do We Know?, Paris: 2005.

უმთავრესად,ფულადი გზავნილები განსაზღვრავს. სოციოლოგიური გამოკითხვების მიხედვით, მოსახლეობის დასაქმებისა და უმუშევრობის საკითხები გამუდმებით ერთ-ერთი მთავარი პრობლემაა საქართველოში[25], ოფიციალური უმუშევრობის დონე 1990-იანი წლების შემდეგ მუდმივად მაღალი რჩება, 2000-იანი წლების დასაწყისიდან ეს მაჩვენებელი ორჯერ გაიზარდა მკეეთრად: პირველად 2004-2006 წლების საჯარო ადმინისტრირების რეფორმებისას და მეორედ – 2008 წლის ეკონომიკური და საომარი კრიზისის დროს[26], ექსპერტთა ერთი ნაწილი მიიჩნევს, რომ დასაქმებისა და უმუშევრობის ოფიციალური მაჩეენებლები არ ასახავს რეალურ ვითარებას ქვეყანაში, მაგალითისათეის, სოციოლოგიურ კელევებში გამოკითხულთა დაახლოებით მესამედი ამბობს, რომ უმუშევარია და ეძებს სამსახურს, მაშინ, როდესაც სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ გამოქვეყნებული უმუშევრობის მაჩვენებელი, ჩვეულებრივ, არ აღემატება 15%-ს.

თუ შრომით ბაზარზე მაღალანაზღაურებადი სამსახურის მოძებნა ძნელია, ფულადი გზავნილები შეიძლება მოგვევლინოს ალტერნატიული შემოსავლის წყაროდ და, ასევე, მან შეიძლება გაზარდოს მიმღებთა შორის სასურველი ხელფასის ოდენობა, რაც იმას ნიშნავს, რომ ეს ინდივიდები უფრო ხანგრძლივად დაელოდებიან სასურველ და მაღალანაზღაურებად სამსახურს. ორივე დასახელებული მექანიზმი გულისხმობს უმუშევრობის დონის ზრდას.

---

ქვეყანაში დარჩენილ ფულადი გზავნილების მიმღებ შინამეურნეობებში. მეორე მხრივ, ამ გზავნილებმა აღნიშნულ შინამეურნეობებს შეიძლება გაუადვილოს სამუშაოს მოძებნა საჭირო რესურსებით უზრუნველყოფის მხრივ და, ასევე, ადამიანურ კაპიტალში ინვესტირების შედეგად.

საქართველოში ჩატარებული ერთ-ერთი მთავარი კველევის მიხედეით რომელიც ეხება ემიგრაციის გავლენას ეკონომიკაზე, ფულადი გზავნილები არ ახდენს გავლენას არც

[25] Luis Navarro and Ian T. Woodward, Public AttRudes in Georgia: Results of a June 2022 Survey Carried out for NDI by CRAC, NDI Georgia, Tbilisi, 2012

[26] Working Group on Poverty Reduction and Eeployment, Poverty eduction and Employment: Diagnostic Report, Tbilisi: Task Force for Regional Development, 2009

მიმღები შინამეურნეობების მიერ მცირე ბიზნესის წამოწყების შესაძლებლობაზე, და არც უმუშევრობის მდგომარეობაზე, თუმცა, ურბანულ დასახლებებში ფულადი გზავნილების მიღება მცირედით ზრდის შინამეურნეობაში უმუშევარი ადამიანის ყოფნის ალბათობას, მეორე მხრივ, 2009-2010 წლების კავკასიის ბარომეტრის მონაცემთა ანალიზი გვიჩვენებს, რომ ფულადი გზაენილების მიმღები შინამეურნეობები ხასიათდება გაცილებით დაბალი დასაქმების დონით, განსაკუთრებით მაშინ, თუ ეს გზაენილები შინამეურნეობის ძირითადი შემოსავლის წყაროა.

### 4.1.3 ემიგრაცია, დანაზოგები, ინვესტიცსიები და ფინანსური სექტორის განვითარება

ემიგრაციამ და მასთან დაკავშირებულმა ფულადი გზავნილების შემოდინებამ შეიძლება დადებითი გავლენა მოახდინოს ქვეყნის ეკონომიკურ ზრდაზე დანაზოგების, ინვესტიციებისა და საფინანსო სექტორის განვითარების გზით, აღნიშნული ეფექტი, ბუნებრიეია, დამოკიდებულია იმაზე, რა სახითა და მოცულობით შემოედინება ფულადი გზავნილები ქვეყანაში და როგორ იყენებს მიმღები მოსახლეობა ამ სახსრებს. თუ მათი ხარჯვა, საქართველოს მსგავსად, შემოიფარგლება ძირითადად საკვებისა თუ სხვა პირველადი საჭიროების ნივთების შეძენით და საბაზისო მოთხოვნილებების დაკმაყოფილებით, მაშინ ეს გზავნილები მხოლოდ უმნიშვნელო როლს ასრულებს ქვეყანაში დანაზოგების აკუმულირებასა და ინვესტიციების განხორციელებაში. მათი შესაძლო პოზიტიური როლის გათვალისწინებითაც კი, მოსახლეობა საქართველოში ხასიათდება დაგროვების უკიდურესად

დაბალი დონით, რაც აფერხებს ინვესტირებას საკუთარი რესურსების გამოყენების გზით. შემოსავლების სიმწირე, კულტურულ თავისებურებებთან ერთად (დაბალი ნდობა საბანკო ინსტიტუტებისა და სხეა დაგროვების მექანიზმებისადმი), ხშირად სახელდება ამ ტენდენციის განმსაზღერელ მიზეზად.

ეკონომიკის ერთ-ერთი დარგი, რომლის განვითარებაზეც შეიძლება გავლენას ახდენდეს ემიგრაცია და მასთან დაკავშირებული ფულადი გზავნილები, უძრავი ქონების ბაზარია, არსებობს მოსაზრება, რომ ფულადი გზავნილების გარკვეულ ნაწილს ადამიანები ზოგავენ და აგროვებენ შემდგომში უძრავ ქონებაში დასაბანდებლად. თვისებრივ კვლევებზე დაყრდნობით, შეიძლება ითქვას, რომ პირველადი მოთხოვნილებების დაკმაყოფილების შემდეგ, ემიგრანტები და ქვეყანაში დარჩენილი ოჯახის წევრები რესურსების დაგროვებას იწყებენ, ძირითადად ბინის ან სახლის შესაძენად, განსაკუთრებით დედაქალაქში. ამასთან, უცნობია, ემიგრანტების მიერ უცხოეთში გამომუშავებული შემოსავლების რა ნაწილი ხმარდება უძრავი ქონების ყიდვას საქართველოში.

ფულადი გზავნილების გავლენაზე, შინამეურნეობების დანაზოგების თვალსაზრისით, წარმოდგენას გვიქმნის სოციოლოგიური კვლევები. საქართველოს მაგალითზე შეიძლება ითქვას, რომ ამ გზავნილების მიღება დადებითად უკავშირდება დანაზოგების არსებობას შინამეურნეობაში, განსაკუთრებით მაშინ, როცა ეს თანხები არ არის შინამეურნეობის ძირითადი შემოსავლის წყარო. ამასთან, ფულადი გზავნილების მიმღებნი უფრო მეტად არიან დაინტერესებულნი სხვადასხვა სახის ინვესტიციის განხორციელებით, ვიდრე სხვა მინამეურნეობები, რომელთაც უცხოეთიდან თანხები არ ეგზავნებათ. თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ იმ ინდიეიდთა უმეტესობა, რომლებიც 2000-იანი წლების შუა პერიოდში იღებდნენ ფულად გზავნილებს, არ ფლობდა საბანკო ანგარიშს საქართველოს კომერციულ ბანკებში, მაგრამ ამ გზავნილების მიღების სიხშირე პოზიტიურად უკავშირდებოდა ხსენებული ანგარიშის გახსნის ალბათობას.

ერთი მხრივ, ცნობილია, რომ მოსახლეობის ნაწილის ემიგრაციის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი შეიძლება იყოს სოციალური უზრუნველყოფის სისტემის უუნარობა – საჭიროების შემთხვევაში, დაიცვას ადამიანები ისეთი სოციალური რისკებისაგან, როგორიცაა უმუშეერობა, სიღარიბე, ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემები. ემიგრაციის შემდეგ ფულადი გზავნილების გადმორიცხეის პროცესი მიმღები შინამეურ- ნეობებისთვის

გარკვეულწილად ანაცვლებს სახელმწიფო სოციალური უზრუნველყოფის სისტემის უშუალო ფუნქციას[27].

ჩანაცვლება ხდება იმ შემთხვევაშიც, თუ სახელმწიფო მმართველები აცნობიერებენ, რომ ფულად გზავნილებს იყენებენ სოციალურად დაუცველი შინამეურნეობები; შესაბამისად, სახელმნიფო ბიუჯეტის სოციალური ხარჯები, რომელთა განევაც აუცილებელი იქნებოდა ამგვარი გზავნილების არარსებობის შემთხევაში, შეიძლება გამოთავისუფლდეს, საზოგადოებრივი რესურსები ამ შემთხვევაში შეიძლება სხვა სფეროებზე გადანაწილდეს – მაგალითად, ქეეყნის ინფრასტრუქტურასა და თავდაცვისუნარიანობაზე. არსებული კელევები მეტყველებს, რომ ნაკლებად ეფექტიანი მმართველობის ქვეყნებში ასეთი გზავნილები უარყოფითად უკავშირდება საზოგადოებრივ დანახარჯებს ისეთი მიმართულებებით, როგორიცაა განათლება და ჯანმრთელობის დაცვა." შეუძლებელია ცალსახად დადგენა, არსებობს თუ არა მსგავსი ეფექტი საქართველოშიც, რადგან წარმოუდგენელია იმის გარკვევა, რას იზამდა ქეეყნის ხელისუფლება მოსახლეობის ფულადი გზავნილების გარეშე დარჩენის შემთხვევაში.

ვინაიდან, არსებული კვლევების მიხედვით, საქართველოს მოსახლეობის, დაახლოებით, 10-15% იღებს ფულად გზავნილებს, შემოსავლების ეს ფორმა მნიშენელოვან როლს ასრულებს მოსაზლეობის სოციალურ მოთხოენილებათა დაკმაყოფილებაში. როგორც უკეე აღვნიშნეთ, ამ გზავნილების უდიდესი ნანილი ხმარდება საბაზისო და პირველადი საჭიროების საქონლისა და მომსახურების შეძენას, გზავნილების მიმღები შინამეურნეობები ასევე ხასიათდებიან განათლებისა და ჯანმრთელობის უფრო მაღალი დონით, ვიდრე დარჩენილი მოსახლეობა, საქართეელოს სახელმწიფოს მიერ გატარებული ეკონომიკური პოლიტიკის არსი, თავის მხრივ, გულისხმობს კერქო სექტორის ნამყეან როლს ეკონომიკურ

[27] Hugh Waddington and Rachel Sabates Wheeler, How Does Poverty Affect Migration Choice? A Review of Uteratwre, Development Research Centre (ORC on Migration, Globalisation and Povert, University of Sussex, 2003.

განვითარებაში და, შესაბამისად, სახელმწიფოს როლის შემცირებას მოსახლეობის სოციალურ საჭიროებათა დაკმაყოფილების საქმეში.

ხანშიშესულები (50 წელზე მეტი ასაკის მოსახლეობა) და ღარიბი შინამეურნეობები, მოსახლეობის სხვა ჯგუფებთან შედარებით, ნაკლები სიხშირით იღებენ ფულად გზავნილებს, მათი განაწილების ასეთი სტრუქტურა შეესაბამება ბოლო წლებში ხელისუფლების სოციალურ პოლიტიკას. ქვეყნის, სოციალური უზრუნველყოფის სისტემაში რესურსები ძირი- თადად მიმართული იყო მოხუცთა შემწეობასა და უკიდურესად ღარიბების მიზნობრივ სოციალურ დახმარებაზე. ასაკობრივი პენსია საქართველოში განუხრელად იზრდებოდა 2004 წლიდან და 2015 წელს 160 ლარა მიაღნია. მიზნობრივი სოციალური დახმარება, თავის მხრივ, 2006 წელს შემოიღეს, თუმცა, დახმარების მიმღებთა რაოდენობა მუდმივად ჩამორჩებოდა მისი მიღების მსურველთა რიცხვს. თუ ფულადი გზავნილები ეხმარება ადრესატებს მეტი თანხების გაღებაში ჯანმრთელობისა და განათლებისათვის, მთლიანობაში, საქართველო უფრო ნაკლებ საზოგადოებრივ რესურსს ხარჯავს ამ სექტორებზე, ვიდრე რომელიმე სხვა, განვითარების მსგავს ფაზაში მყოფი გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყანა.

თუ შევადარებთ ფულადი გზავნილების ნაკადს საქართველოს რეგიონებში, დავინახავთ, რომ ის უფრო მაღალია იქ, სადაც დაბალია მიზნობრივი სოციალური დახმარების მიმღებთა რაოდენობა. კორელაციური ანალიზი ასევე მეტყველებს კავშირზე ამ დახმარების მიმღებთა რაოდენობასა და რეგიონში ნარმოებული მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობას შორის, თუმცა, საერთო გამოშვება არ უკავშირდება ფულადი გზავნილების მოცულობას.

ეს ტენდენცია საშუალებას გეაძლეეს, დავასკვნათ, რომ ფულადი გზავნილები სოციალური დახმარების ფუნქციას ასრულებს მოსახლეობის იმ ჯგუფებისათვის, რომლებიც არ არიან ყველაზე ღარიბები ქვეყანაში, მაგრამ, სავარაუდოდ, დასჭირდებოდათ ამ დახმარების მიღება ფულადი გზავნილების არარსებობის შემთხვევაში გარდა ამისა, კავკასიის ბარომეტრის მონაცემთა ანალიზი მეტყველებს იმაზე, რომ თუ ფულადი

გზავნილები შინამეურნეობისათეის შემოსავლის ძირითადი წყაროა, სოციალური დახმარების მიღების სიხშირე ასეთ შინამეურნეობებში 18%- ით უფრო ნაკლებია. ეს ეფექტი განსაკუთრებით ძლიერია საქართველოს დედაქალაქში.

## 4.2 იმიგრაციის ეკონომეკური შედეგები

ეს ქვეთავი განიხილავს იმიგრაციულ პროცესებს და მათ ეკონომიკურ შედეგებს, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში იმიგრანტთა რაოდენობის შესახებ ზუსტი ინფორმაცია მიუწედომელია, ცხადია, რომ პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ ცვლილებებთან ერთად, საქართველოში დროებით ან მუდმივად ჩამოსულ უცხოელთა რიცხვი იზრდება. მაგალითად, 2014 წელს იმიგრანტ,თა რაოდენობამ 82 ათასს მიაღწია, რაც, დაახლოებით, 20%-ით მეტია 2012 წლის მაჩვენებელთან შედარებით. რაც შეეხებამხოლოდ უცხო ქვეყნის მოქალაქეების იმიგრაციას საქართველოში, მათზე 2009-13 წლებში მთლიანობაში გაცემულ იქნა 30 ათასზე მეტი მუდმივი და დროებითი ბინადრობის ნებართვა. აქედან გამომდინარე, ქვემოთ განხილული იმიგრაციის ეკონომიკური ასპექტები მომავალში საქართველოსთვის სულ უფრო აქტუალერი გახდება.

### 4.2.1 იმიგრაცია და ეკონომიკური ზრდა

იმიგრანტთა გავლენა ქვეყნის ეკონომიკურ ზრდაზე მწვავე განხილვის თემად იქცა იმ ქვეყნებში, სადაც იმიგრაცია მაღალ მაჩვენებელს აღწევს. ეკონომიკურ ლიტერატურაში მიჩნეულია, რომ დემოგრაფიული ცვლილებები გავლენას ახდენს ძირითად მაკროეკონომიკურ მახასიათებლებზე, როგორიცაა ეკონომიკური ზრდა და უმუშევრობა. იმიგრაცია, ანუ უცხო ქვეყნის მოქალაქეების, მოქალაქეობის არმქონე პირების ან საზღვარგარეთ მცხოვრები თანამემამულეების ჩამოსვლა ქვეყანაში პირდაპირ უკავშირდება

მოსახლეობის რაოდენობის ცვლილებებს,რაც გავლენას ახდენს ეკონომიკურ ზრდაზე. ზოგადად მიჩნეულია, რომ თუ იმიგრანტები ხასიათდებიან მაღალი ადამიანური კაპიტალით, პროდუქტიულობით, და ადვილად უღებენ ალღოს ადგილობრივ გარემოსა თუ შრომით ბაზარს, მაშინ მათ მნიშვნელოვანი წვლილის შეტანა შეუძლიათ ქვეყნის ეკონომიკურ ზრდაში. ამ შემთხვევაში, ადგილობრივი მოსახლეობის შეხედულებები იმიგრანტთა სოციალურ საჭიროებებზე – სახელმწიფოს ხარჯების ზრდის, უმუშევრობის პრობლემის გამძაფრებისა და ეკონომიკური განვითარების შეფერხებასთან დაკავშირებით – ხშირად საფუძველსაა მოკლებული.

ეკონომიკურ თეორიაში გამოყოფენ იმიგრაციის ეკონომიკური ზრდის, ერთი მხრივ, საერთაშორისო ვაჭრობაში და, მეორე მხრივ, სამუშაო ძალის ეკონომისტების მიერ გამოყენებულ მიდგომებს. საერთაშორისო ვაჭრობის ეკონომისტები იმიგრაციის გავლენას განიხილავენ ღია ეკონომიკის პირობებსა და გრძელვადიან პერიოდში; სამუშაო ძალის ეკონომისტები კი, ჩვეულებრივ, იკვლევენ ერთდარგიან დახურულ ეკონომიკას და ყურადღებას ამახვილებენ მოკლევადიან შედეგებზე; ასევე, ხაზს უსვამენ, როგორ გავლენას ახდენს წარმოების, მუშახელზე მოთხოვნისა და მიწოდების ფუნქცია ეკონომიკის მოკლევადიან მახასიათებლებზე. ამის საპირისპიროდ, საერთაშორისო ვაჭრობის ეკონომისტები ყურადღებას ამახვილებენ იმიგრაციის შემდგომი პერიოდის ეკონომიკის გრძელვადიან წონასწორობაზე. ამ განსხვავებების გამო მიჩნეულია, რომ ეკონომიკურ თეორიაში ჯერჯერობით არ არსებობს საერთო წონასწორობის მოდელი, რომელიც ერთდროულად განიხილავს იმიგრაციის მოკლედა გრძელვადიან შედეგებს ღია და დახურულ, ასევე, ერთ და მრავალდარგიან ეკონომიკაში. ასეთი მოდელის არსებობა იმიტომაა ძნელი, რომ მან აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს ეკონომიკაში მიმდინარე ისეთი არაპირდაპირი ცელილებები როგორიცაა კაპიტალის მოცულობა, შიდა მიგრაცია, გამოშვებული პროდუქციისა და ტექნოლოგიის ცვლილებები.

დადასტურებულია, რომ ხანგრძლივ ეკონომიკურ ზრდას ვერ უზრუნველ- ყოფს მხოლოდ საწარმოო ფაქტორების აკუმულირება. ამგვარი ზრდა მოითხოვს უწყვეტ

ტექნოლოგიურ ცვლილებებს, ვინაიდან მიგრანტები განსხვავებული საზოგადოებისა და კულტურის წარმომადგენლები არიან და, ჩვეულებრივ, ახალი იდეები ჩააქვთ დანიშნულების ქვეყნებში. ასევე, რაკი მიგრაცია არ არის მარტივი პროცესი, მიგრანტები სამეწარმეო თვისებებით და რისკიანი გადაწყვეტილებებს უნარით ხშირად გამოირჩევიან დანარჩენი მოსახლეობისგან. ემპირიული კვლევების ერთ- ერთი მთავარი მიგნება ის არის, რომ იმიგრაცია ერთობლივი მოთხოვნის მომატების ხარჯზე ზრდის ადგილობრივი წარმოების პროდუქციისა და მომსახურების ფასებს, განსაკუთრებით, საცხოვრებელ ფართზე. ასევე, კვლევებით დადასტურებულია, რომ იმიგრაციის შედეგად, ქვეყანაში იწყება მნიშვნელოვანი გრძელვადიანი ცვლილებები, რომლებიც, თავის მხრიე, უკავშირდება ეკონომიკურ ზრდას. როგორც უკვე აღინიშნა, იმიგრაცია გავლენას ახდენს მოსახლეობის ზრდაზე, რაც, თავის მხრივ, გავლენას ახდენს ბუნებრივი რესურსების მდგომარეობაზე. ეს უკანასკნელი ეკონომიკური ზრდის უშუალო განმაპირობებელი ფაქტორია, ეკონომიკურ ზრდაზე იმიგრაციის ეფექტის შეფასება მრავალმხრივ მიდგომას მოითხოვს.

არსებული კვლევები, წესისამებრ, ეფუძნება სტატისტიკური მოდელირების შედეგებს, რომლებიც, დიდი ალბათობით, სათანადოდ ვერ ასახავს იმიგრაციის ბევრ პირდაპირ და არაპირდაპირ ეკონომიკურ ასპექტს. იმიგრანტთა ზრდა იწვევს მრავალ ცვლილებას, არა მხოლოდ შრომით ბაზარზე, არამედ საზოგადოებრივი ცხოვრების ბევრი სხვა მიმართულებით. მაგალითად, სხვადასხვა კატეგორიის სამუშაო ძალის ფასისა და რაოდენობის ცელილებამ, სხვა თანაბარ პირობებში შეიძლება გამოიწვიოს ცალკეულ პროდუქციაზე მოთხოვნის, წარმოებული პროდუქციის მრავალი სახეობის, წარმოებისათვის გამოყენებული ტექნოლოგიების, სამუშაო ძალის განათლების დონისა და არსებული ფიზიკური კაპიტალის მოცულობის შეცვლაც. ზოგიერთი ეს ცვლილება ხდება სწრაფად და შესაბამისად აისახება მოკლევადიან სტატისტიკურ მაჩვენებლებზე, თუმცა, ამ პროცესების მნიშვნელოვანი ნაწილი  შეიძლება მხოლოდ გამომჟღავნდეს გრძელვადიან პერიოდში.

### 4.2.2 იმიგრაცია და სამუშაო ძალის ბაზარი

იმიგრაციის ეკონომიკური შედეგებზე მსჯელობა ხშირად უკავშირდება იმ გავრცელებულ მოსაზრებას, რომ იმიგრანტები უარყოფით გავლენას ახდენენ ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმების შესაძლებლობებზე, ამცირებენ მათ ხელფასს და ზრდიან უმუშევრობის რისკს.

ეკონომიკური თეორიის თვალსაზრისით, საერთაშორისო შრომითი მიგრაციის მთავარი განმაპირობებელია ქვეყნებს შორის სამუშაო ანაზღაურებაში არსებული განსხვავებები, თუმცა, იმიგრაციაზე გადანყვეტილების მიღების მექანიზმი უფრო ნაკლებადაა შესწავლილი, ვიდრე იმიგრაციისეკონომიკური შედეგები. იმიგრანტთა ასიმილაცია ადგილობრივ შრომით ბაზარზე, ჩვეულებრიე, შეისწავლება მათი და ადგილობრივი მოსახლეობის შრომითი ანაზღაურების, დასაქმების დონისა და უმუშევრობის რისკების შედარებით.

ადამიანური კაპიტალისა და მოთხოვნა-მიწოდების ეკონომიკური თეორიების მიხედვით, იმიგრანტთა რაოდენობის ზრდას უნდა ახლდეს მსგავსი განათლებისა და კვალიფიკაციის მქონე ადგილობრივი მოსახლეობის ხელფასის შემცირება. თუმცა, ეს ეფექტი აღინიშნება მხოლოდ მაშინ, თუ იმიგრანტებს შეუძლათ ამგვარი ადგილობრივი მოსახლეობს სრულყოფილად ჩანაცვლება, ორივე ჯგუფი ერთმანეთს ეცილება ერთსა და იმავე სამუშაო ადგილს, დამსაქმებლებს კი ერთნაირი დამოკიდებულება აქეთ იმიგრირებული და ადგილობრივი მშრომელებისმიმართ. იმიგრაციის ეფექტი შრომით ბაზარზე დამოკიდებულია ბევრ სხვა გარემოებაზეც, როგორიცაა ქვეყნის სოციალური ინსტიტუციური მოწყობა, ეკონომიკური სპეციალიზაცია და იმიგრანტთა მიმართ საზოგადოებისგანწყობა. აქედან გამომდინარე, სხვადასხვა ქვეყანაში და სხვადასხვა დროს იმიგრაციის ეფექტი ადგილობრივი შრომითი ბაზრის მდგომარეობაზე შეიძლება მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს ერთმანეთისაგან.

მაგალითად, აშშ-ში 1970-იან წლებში ჩატარებული კელევების მიხედვით, იმიგრანტები ადგილობრივებზე ნაკლებ ხელფასს იღებდნენ ქვეყანაში ჩასვლიდან დაახლოებით 15 წლის განმავლობაში[28], მაგრამ 30 წლის შემდეგ მათი ხელფასი აღემატებოდა მსგავსი ასაკისა და გამოცდილების ადგილობრივი მოსახლეობის შემოსავალს. 1990-იან წლებში ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში ჩატარებული კვლევების მიხედვით, იმიგრანტები ამ ქვეყნებშიც ადგილობრივებზე უფრო დაბალ ხელფასს იღებდნენ, თუმცა, ასეთი განსხვავებები მერყეობდა სხვადასხვა სახელმწიფოსა და პერიოდს შორის. ამასთან, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ იმიგრანტთა გარკვეულ ჯგუფებს, მაგალითად, მაღალკვალიფიციურ მიგრანტებს განვითარებული ქვეყნებიდან ხშირად მსგავს ადგილობრივ ჯგუფებზე უფრო მაღალი შრომითი ანაზღაურება ჰქონდათ[29]. იმიგრანტების ქვეყანაში შესელისას თავდაპირველი სხვაობა ხელფასში დადასტურებული ტენდენციაა, მაგრამ მკვლევრები თანხმდებიან ამ სხვაობის კლებაზეც დროთა განმავლობაში. შემოსავლების ასიმილაცია ხდება იქიდან გამომდინარე, რომ მიგრანტები ალღოს უღებენ ადგილობრივ შრომით ბაზარს, იუმჯობესებენ ენის ცოდნას და იღებენ მეტ განათლებას.

იმიგრაციის სრული ეკონომიკური გავლენის ასახსნელად, აუცილებელია გავითვალისწინოთ რეემიგრაციის ფენომენიც. ცნობილია, რომ ყოველი მეოთხე ან მესამე იმიგრანტი გარკვეული ხნის შემდეგ ტოვებს აშშ-ს. ეს მაჩვენებლი ევროკავშირის ქვეყნებში კიდევ უფრო მაღალია. მაგალითად, გერმანიაში იმიგრანტების, დაახლოებით, 30-40% ტოვებს ქვეყანას იმიგრირებიდან 5 წლის განმავლობაში. ისიც უნდა ითქვას, რომ რეემიგრირების უფრო მაღალი ტენდენციით ხასიათდებიან ასიმილირების თვალსაზრისით ნაკლებად წარმატებული იმიგრანტები. როგორც აღვნიშნეთ, იმიგრანტების (განსაკუთრებით, ევროკავშირის არაწევრი ქვეყნებიდან) აქტიურობა შრომით ბაზარზე და მათი დასაქმების დონე, ადგილობრივებთან შედარებით, დაბალია, რაც შეიძლება გახდეს მათი რეემიგრირების ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი[30].

---

[28] CAiswikk, The Effect of Americanization on the Larnings of Foreign-fom Men.

[29] 11 Brian O. Bell, The Performance of lennigras in the United Kingdom: Evidence from the GHS, The Econoeec Journal 107 (441), 1997

[30] 114 Joshua D. Angrist and Adnana D. Kugler, Protective of Counter Protective? Labor Market Institutes

იმიგრაციის ეფექტი ქვეყანაში არსებულ საშუალო ხელფასზე რამდენიმე მიმართულებით შეიძლება გამოვლინდეს. შრომით ბაზარზე ადგილობრივებთან შედარებით დაბალი აქტიურობის მიუხედავად, იმიგრანტები ზრდიან მუშახელის მიწოდებას მიმღებ ქეეყნებში. მიწოდების ზრდა სხვა თანაბარ პირობებში, მოთხოვნა-მინოდების ეკონომიკურე თეორიის მიხედვით, გაქლენას ახდენს შრომით ანაზღაურებაზე. ხელფასის მოცულობა იცვლება იმის გამოც, რომ განათლებისა და გამოცდილების მახასიათებლები მთლიანი ეკონომიკის მასშტაბით იცვლება. იმ შემთხვევაშიც კი, თუ იმიგრაციის მთლიანი ეკონომიკური ეფექტი დადებითია ადგილობრივი მოსახლეობის გარკეეული ჯგუფებისათვის, რომლებიც ჩანაცვლების მაღალი ტენდენციით ხასიათდებიან, იმიგრანტებმა შეიძლება უარყოფითი გავლენა იქონიონ.

ეს თეორიული მსჯელობები ხშირად არ შეესაბამება ეკონომისტების მიერ ჩატარებული კვლევების შედეგებს. რეალურ ცხოვრებაში, იმიგრანტების ჩასვლის შედეგად, ადგილობრივი მოსახლეობის ხელფასი ან საერთოდ არ იცვლება,ან იცვლება მხოლოდ უმნიშვნელოდ. მაგალითად, დიდ ბრიტანეთსა და აშშ-ში ჩატარებული მონაცემთა ანალიზის მიხედეით, იმიგრაციას თითქმის არანაირი ეფექტი არა აქვს ადგილობრივი მოსახლეობის შემოსავლებზე. ამის ერთ-ერთი შესაძლო მიზეზი არის ის, რომ ორივე ქეეყანაში იმიგრანტები სრულყოფილად ვერ ანაცვლებენ ადგილობრივ მოსახლეობას. შრომით ბაზარზე იმიგრანტთა ზრდასთან ერთად, ადგილობრივი მოსახლეობა თანდა-თანობით გადაინაცვლებს დასაქმების იმ სფეროებში, სადაც კომუნიკაციის უნარს უფრო მნიშვნელოვანი როლი ენიჭება, მაშინ, როდესაც იმიგრანტები კონცენტრირდებიან უფრო რუტინული სამუშაოს სფეროებში. რა თქმა უნდა, ასეთი ურთიერთკაეშირი დამოკიდებულია ადგილობრივი და იმიგრირებული მშრომელების კვალიფიკაციაზეც. მაგალითად, გერმანიაში არაკვალიფიციური მუშახელის ხელფასი, იმიგრაციის შედეგად,

and the Effect of Immigration on EU Natives, Economic journal 113 (488), 2003, pg 302-31,

შემცირების ტენდენციით ხასიათდებოდა, მაგრამ ამავე პროცესის გამო იზრდებოდა კვალიფიციური მუშახელის სამუშაო ანაზღაურება.

## 4.3 საქართველო და ევროკავშირი – ახალი პერსპექტივები

როგორც წინა თავში აღინიშნა, საქართველოს მიგრაციის ისტორიაში ახალი ეპოქა 1990-იანი წლების დასასრულს იღებს სათავეს. საბჭოთა კავშირისა და, მასთან ერთად, „რკინის ფარდის“ მოშლის შემდგომ გაიზარდა იმ ქვეყნების რიცხვი, რომლებისკენაც, ეკონომიკური კეთილდღეობის გაუმჯობესების მიზნით, გეზი აიღეს ქართველმა მიგრანტებმა დამოუკიდებლობის მოპოვებიდან ორი ათწლეულის შემდეგ კი საქართველო მიგრანტთა წარმოშობის ქვეყნიდან სატრანზიტო და დანიშნულების ქვეყნად გადაიქცა, რამაც მიგრაციული პროცესების ეფექტიანი მართვის გადაუდებელი საჭიროება წარმოშვა. დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, საქართველოში ჩამოყალიბდა მიგრაციის მართვისათვის აუცილებელი ინსტიტუტები და შემუშავდა შესაბამისი საკანონმდებლო ბაზა.

სტრატეგიულ დონეზე მიგრაციული პროცესების მართვის მოსაწესრიგებლად პირველი კონკრეტული ნაბიჯი 1997 წელს გადაიდგა, როდესაც შეიქმნა „მიგრაციის პოლიტიკის კონცეფცია“. თუმცა, იმდროინდელი საშინაო და, დიდწილად, საგარეო პოლიტიკური ვითარებიდან გამომდინარე, საკითხი ნაკლებად აქტუალური იყო და კონცეფციის დებულებათა განხორციელება დიდი ხნით გადაიდო. ახალი ბიძგი ამ მიმართულებას საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობების მომდევნო ეტაპზე გადასვლამ მისცა, რასაც წინ უძღოდა ხანგრძლივი და გამოწვევებით აღსავსე ორმხრივი თანამშრომლობა ქვეყნისთვის სასიცოცხლო მიმართულებებით.

საქართველო-ევროკავშირს ურთიერთობა 1992 წლიდან იწყება. პირველი ოფიციალური შეთანხმება, რომელიც ევროკავშირთან გაფორმდა და 2010 წლამდე არეგულირებდა თანამშრომლობის პრიორიტეტულ მიმართულებებს, იყო 1996 წლის შეთანხმება პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ. იგი მოიცავდა მრავალ სფეროს, სადაც მხარეები იღებდნენ ერთობლივი მუშაობის ვალდებულებას გარკვეული პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური მიზნების მისაღწევად. მოგვიანებით, 2003 წელს, შემუშავდა ევროპული სამეზობლო პოლიტიკა (ENP), რომელიც მიზნად ისახავს ევროკავშირისა და მისი მეზობელი ქვეყნების პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ურთიერთდაახლოების მხარდაჭერას. სამეზობლო პოლიტიკა საქართველოზე გავრცელდა 2004 წლიდან, ხოლო 2006 წლის 14 ნოემბერს ქვეყანამ მიიღო ევროპული სამეზობლო პოლიტიკის საქართველო-ევროკავშირის სამოქმედო გეგმა, რომელიც ასახავს თანამშრომლობის სტრატეგიულ მიზნებსა და პრიორიტეტებს, მათ შორის, სამართლის, თავისუფლებისა და უსაფრთხოების საკითხებში. გეგმა მოიცავს სექტორულ მიდგომებზე დაფუძნებულ სოლიდურ სათანამშრომლო პლატფორმას მიგრაციის სფეროში.

2009 წლის 7 მაისს პრაღაში გამართულ სამიტზე ხელი მოეწერა ერთობლივ დეკლარაციას ევროკავშირის აღმოსავლეთ პარტნიორობის ინიციატივაზე ვალმხრივ ფორმატებს. მრავალმხრივი ფორმატის ერთ-ერთი მიმართულება მოიცავს მიგრაციასთან დაკავშირებულ საკითხებს და იძლევა საშუალებას, კიდეე უფრო გაღრმავდეს თანამშრომლობა ამ განხრით.

2009 წელს ევროკავშირის 16-მა წევრმა სახელმწიფომ და საქართველომ ხელი მოაწერეს ერთობლივ დეკლარაციას, პარტნიორობა მობილურობისთვის (MP). ეს ინიციატივა გულისხმობს ბრძოლას არალეგალურ მიგრაციასთან, ლეგალური მიგრაციის ხელშეწყობას და თანამშრომლობას ისეთ საკითხებზე, როგორიცაა: მიგრაციის მონიტორინგი, შრომითი მიგრაცია, რეადმისია, რეინტეგრაცია, დიასპორა, დოკუმენტების უსაფრთხოება, მიგრაციის ერთიანი საინფორმაციო ბაზა და პროფესიული კვალიფიკაციის

აღიარება; ასევე ითვალისწინებს ევროკავშირის ქვეყნებში საქართველოს მოქალაქეთა ლეგალურ დასაქმებას, მათ შორის, ე.წ. „ცირკულარული მიგრაციის“ საშუალებით. ეს სქემა იძლევა ევროკავშირის სახელმწიფოებში გარკვეულ ხანს ლეგალურად დასაქმების, სწავლის, ტრენინგების გავლისა და შემდგომ საქართველოში დაბრუნების შესაძლებლობას; ინიციატივა გულისხმობს მჭიდრო თანამშრომლობას ქართული დიასპორის წარმომადგენლებთანაც. ამ მხრივ მნიშვნელოვანია

ევროკავშირის 2011 წლის ინიციატივა – „გლობალური მიდგომა მიგრაციისა და მობილურობისადმი“ (6MMM), – რომელიც მოიცავს შემდეგ მიმართულებებს ლეგალური მიგრაციის მართვის გაუმჯობესება და მობილურობის ხელშეწყობა, არალეგალური მიგრაციის პრევენცია და შემცირება, მიგრაციისა და განვითარების ურთიერთკავშირის გაძლიერება,

ხსენებული კომისიის ევროკავშირთან აქტიური თანამშრომლობის საფუძველზე, 2011 წლის 1 მარტიდან ძალაშია შეთანხმება ევროკავშირსა და საქართველოს შორის ვიზების გაცემის პროცედურის გამარტივების შესახებ (შემდგომში – ვიზა-ფასილიტაციის შეთანხმება) და უმარტივებს ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების ვიზის მიღებას, ამცირებს ან აუქმებს მის საფასურს და აწესებს უვიზო მიმოსვლას დიპლომატებისათვის; რეადმისიის ხელშეკრულება კი მკაფიოდ განსაზღვრავს პროცედურებს, რომელთა დაცვითაც უნდა მოხდეს ამა თუ იმ ქვეყნის ტერიტორიაზე უკანონოდ მცხოვრებ პირთა რეადმისია სამშობლოში. იგი ეფუძნება ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპულ კონვენციაში ასახულ პრინციპებს.

საქართველო-ევროკავშირის მოლაპარაკებები ასოცირების შეთანხმებაზე ოფიციალურად 2010 წლის ივლისში დაიწყო (ხოლო ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის სივრცეზე – 2011 წლის დეკემბერში). 2013 წელს ვილნიუსის სამიტზე პარაფირებული იქნა საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შესახებ შეთანხმება, რომელსაც 2014 წლის 27 ივნისს მოეწერა ხელი. 2016 წლისათვის კი დასრულდა მისი რატიფიცირება ერთი მზრივ, საქართველოს, ხოლო მეორე მხრიე, ევროკავშირის 28 წევრი

ქვეყნის პარლამენტის მიერ. დოკუმენტი ორ მხარეს შორის თანამშრომლობის მთავარი ჩარჩო ხელშეკრულებაა, რომელმაც ჩაანაცვლა 1996 წლის შეთანხმება პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ და რომელიც ქმნის საქართველო-ევროკავშირის თანამშრომლობის ახალ სამართლებრივ ჩარჩოს.

ასოცირების შესახებ შეთანხმება შეიცავს პოლიტიკურ კომპონენტებსაც, როგორიცაა: პოლიტიკური დიალოგი; რეფორმები დემოკრატიული ინსტიტუტების გასაძლიერებლად; კანონის უზენაესობა; სასამართლოს დამოუკიდებლობა; ადამიანის უფლებათა პატივისცემა, კონფლიქტის მშვიდობიანინი მოგვარება და თანამშრომლობა მართლმსაჯულების, თავისუფლებისა და უსაფრთხოების საკითხებში. შეთანხმება მოიცავს ენერგეტიკის, საბაჟო და სერვისების სფეროებსაც, ვაჭრობის განვითარებასა და დაცვას, სარეგულაციო დისციპლინის დამკვიდრებას, კონკურენციის რეგულირებასა და გამჭვირვალობას, საქონლის ხარისხისა და სანიტარული თუ ფიტოსანიტარული ალელი და რეგულაციების განსაზღვრას, სასოფლო-სამეურნეო და საწარმოო პროდუქციის ექსპორტსა და მის ხელშეწყობას, ინტელექტუალური საკუთრების დაცვას და საქართველოს კანონმდებლობის მორგებას ევროკავშირის სამართალზე. შეთანხმება ითვალისწინებს ევროკავშირის მხრიდან ქართველი სტუდენტების მნიშვნელოვან დახმარებასაც საგანმანათლებლო პროგრამების დაფინანსების თვალსაზრისით,

შეთანხმება არ არის ევროკავშირში გაწევრიანების აუცილებელი წინაპირობა, თუმცა, ევროკავშირსა და მის კანონმდებლობასთან დაახლოების იმდენად მაღალ დონეს გულისხმობს, რომ მისი ეფექტიანი განხორციელების შემთხვევაში, ფაქტობრივად, შეუქცევადი გახდება საქართველოს ევრო-პეიზაცია. შეთანხმება ვრცელდება, ერთი მხრივ, ევროკავშირის და, მეორე მხრივ, საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, საერთაშორისოდ აღიარებული საზღვრების ფარგლებში, რაც გულისხმობს, რომ აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონებთან მიმართებით შეთანხმება გავრცელდება ოკუპირებულ ტერიტორიებზე საქართველოს იურისდიქციის აღდგენის შემდგომ. იგი მოიცავს: თანამშრომლობის

პრინციპებს ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმებაზე და სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის საკითხებს.

საქართველოს ევროკავშირთან ინტეგრაციის მიმდინარე ფორმატში ვიზა-ლიბერალიზაცია ერთ-ერთი უმთავრესი მიმართულებაა ასოცირების შეთანხმების პერსპექტივათა შორის, თავისუფალ სავაჭრო ურთიერ-თობებთან ერთად. 2012 წლის ივნისში ოფიციალურად დაიწყო საქართველო-ევროკავშირის დიალოგი უვიზო მიმოსვლის ანუ სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის შესახებ; 2013 წლის 25 თებერვალს კი საქართველოს გადაეცა სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმა, ხოლო იმავე წლის მარტში მთავრობამ დაამტკიცა მიგრაციის 2013-2015 წლების სტრატეგია.

ევროკავშირის მიერ შემუშავებული სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმა მოიცავდა ოთხ ბლოკს, რომლებიც, თავის მხრივ, შედგებოდა ორი (საკანონმდებლო და იმპლემენტაციის) ფაზისაგან. თითოეულის ფარგლებში მიღწეულ პროგრესსა და ქვეყნის მზადყოფნას შემდგომი ნაბიჯებისათვის განსაზღვრავდნენ ევროკავშირის საგანგებო შემფასებელი მისიები, რომლებიც შესაბამის ანგარიშებში იძლეოდნენ კონკრეტულ რეკომენდაციებს. საქართველოში ასეთი მისიების 22 ვიზიტი განხორციელდა და მომზადდა 4 ანგარიში მიღწეული პროგრესის შესახებ. შედეგად, ქვეყანამ 2014 წელს სამოქმედო გეგმის 1-ლი ფაზა დახურა, 2015 წლის18 დეკემბერს კი – მე-2. 2016 წლის 9 მარტს ევროკომისიამ ევროპარლამენტსა და ევროკავშირის საბჭოს ოფიციალურად წარუდგინა საკანონმდებლო წინადადება M539/2001 რეგულაციაში ცვლილების შეტანის შესახებ: ცვლილება ითვალისწინებს ევროკავშირის/შენგენის წევრ ქვეყნებთან მოკლევადიანი უვიზო მიმოსვლის რეჟიმის შემოღებას, რომლის თანახმად, საქართველოს მოქალაქეებს, რომლებიც ფლობენ ბიომეტრიულ პასპორტს შეუძლიათ ევროკავშირის/შენგენის წევრ ქვეყნებში უვიზოდ მოგზაურობა, თუმცა, გეგმის წარმატებით დასრულების პარალელურად ევროკავშირში გამძაფრებული მიგრაციული კრიზისის ფონზე, საქართველოსათვის უვიზო მიმოსვლის გახსნასთან დაკავშირებული გადაწყვეტილების მიღების თარიღმაც გადაიწია, მანამ, სანამ 2017 წლის 2 თებერვალს ხსენებული წინადადება არ დამტკიცდა

ევროპარლამენტის ხოლო 27 თებერვალს კი, ევროკავშირის საბჭოს მიერ. რამდენიმე დღეში (1 მარტი) განახლებულ რეგულაციას უკვე ხელი მოეწერა ევროპარლამენტის პრეზიდენტისა და ევროკავშირის საბჭოს თავმჯდომარე ქვეყნის წარმომადგენლის მიერ, რის შემდეგაც 8 მარტს იგი გამოქვეყნდა ევროკავშირის ოფიციალურ ჟურნალში. 2017 წლის 28 მარტიდან კი, საქართველოს მოქალაქეები პირველად გაემგზავრნენ უვიზოდ შენგენის წევრ ქვეყნებში.

მიუხედავად იმისა, რომ ვიზალიბერალიზაციის ძირითადი მიზანი საქართველოს მოქალაქეთათვის შენგენის ზონის ქვეყნებში უვიზო მიმოსვლის დაწესებაა, თავად პროცესის ფარგლებში უამრავი სასიცოცხლო რეფორმა გატარდა მიგრაციის მართვისა და სხვა მნიშვნელოვან სფეროებში. სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის განხორციელების ფარგლებში, 2015 წელს საქართველომ შეიმუშავა და მიიღო მიგრაციული პოლიტიკის განმსაზღვრელი რიგით მესამე სტრატეგიული დოკუმენტი. წინამორბედთაგან რადიკალურად განსხვავებული, თანამედროვე გლობალური გამოწვევების საპასუხოდ შექმნილი და საერთაშორისო სტანდარტებზე დაფუძნებული 2016-2020 წლების სტრატეგია ხუთწლიან პერიოდზეა გათვლილი და მოიცავს ისეთ სფეროებს, როგორიცაა: ლეგალური მიგრაციის ხელშეწყობა, არალეგალურ მიგრაციასთან ბრძოლა, საერთაშორისო დაცვა, უცხოელთა ინტეგრაცია და დაბრუნებულთა რეინტეგრაცია, მიგრაცია და განვითარება, მიგრაციის მართვის გაუმჯობესება, საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლება და საერთაშორისო თანამშრომლობის გაღრმავება.

## 4.4 პროგრამები, რომლებიც ხელს უწყობენ ემიგრანტებს სამშობლოში დაბრუნებას

მიგრანტთა მხარდასაჭერად, არაერთი პროექტი ხოციელდება საქართველოში მოქმედი სამთავრობო თუ არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ. განვიხილოთ რამდენიმე ასეთი პროგრამა, რომელიც უკანასკნელ პერიოდში განხორციელდა ან განხორციელების პროცესშია. ყურადსაღებია, რომ პროგრამათა ხანგრძლივობა განსხვავდება, ზოგიერთი მათგანი მალე სრულდება, მაგრამ პერიოდულად იწყება ახალი ინიციატივებიც. შესაბამისი ორგანიზაციების ვებ-გვერდებზე მუდმივად ქვეყნდება ინფორმაცია ამ პროგრამების შესახებ. პროგრამები საზღვარგარეთ მცხოვრები საქართველოს მოქალაქეებისა და დაბრუნებული მიგრანტებისთვის:

1. „ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრომ 2015 წლიდან დაიწყო საგრანტო პროგრამა, რომელიც ითვალისწინებს ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის მცირე გრანტების გაცემას დაბრუნებული მიგრანტების რეინტეგრაციის მხარდასაჭერად;
2. „აწარმოე საქართველოში" ინიციატივის ფარგლებში ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო ახორციელებს მიკრო და მცირე მეწარმეობის ხელშეწყობის პროგრამას, რომელიც მოიცავს ქვეყნის მთელ ტერიტორიას (გარდა დედაქალაქისა) და ფოკუსირებულია რეგიონულ განვითარებაზე;
3. მდგრადი რეინტეგრაცია ნებაყოფლობითი დაბრუნების შემდეგ - საქართველოს კარიტასი 2006 წლიდან ახორციელებს პროექტს, რომლის ფარგლებშიც ევროკავშირის ქვეყნიდან დაბრუნებული მიგრანტებს უზრუნველყოფს სხვადასხვა სახის დახმარებით (ფსიქო-სოციალური კონსულტაცია, პროფესიული ტრენინგები, სამუშაოს მოძიება).
4. გადაადგილებაში მყოფი ადამიანები: მიგრაციის გამოწვევების მართვა და ალტერნატიული შესაძლებლობების შეთავაზება პოტენციური და დაბრუნებული მიგრანტებისათვის საქართველოს რეგიონებში - ევროკავშირსა და საქართველოს შორის გრძელვადიანი თანამშრომლობის ფარ- გლებში სახალხო უნივერსიტეტთა

გერმანული ასოციაციის საერთაშორისო თანამშრომლობის ინსტიტუტი (DVV International) უზრუნველყოფს პოტენციური და დაბრუნებული მიგრანტების შესაძლებლობების გაზრდას, მათი უფლებების დაცვის და თემის განვითარებაში მონაწილეობის გზით.

5. ნებაყოფლობითი დაბრუნებისა და რეინტეგრაციის ხელშეწყობა - მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია (IOM) ფინანსურ დახმარებას უწევს ემიგრაციიდან ნებაყოფლობით დაბრუნებულ პირებს, რათა მათ წამოიწყონ შემოსავლის მომტანი საქმიანობა და წარმატებით შეძლონ სამშობლოში დამკვიდრება.
6. დროებითი შრომითი მიგრაციის პილოტირება პოლონეთსა და ესტონეთში - მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (IOM) პროექტია, რომელიც ფოკუსირებულია საქართველოდან პოლონეთსა და ესტონეთში შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირთა ლეგალურ შრომით მიგრაციაზე და მათი უნარების განვითარებაზე.
7. დაბრუნებული ექსპერტების პროგრამას - გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ) ახორციელებს. იგი საქართველოში დაბრუნებასა და რეინტეგრაციაში ეხმარება საქართველოს იმ მოქალაქეებს, რომლებმაც გერმანიაში მიიღეს პროფესიული განათლება/ გამოცდილებ ან/და სურთ საქართველოში საკუთარი ბიზნესის წამოწყება. პროგრამა მიგრანტებს სთავაზობს დასაქმებასა და ბიზნესის დაწყებასთან დაკავშირებულ საკონსულტაციო მომსახურებას.
8. მიგრანტთა უფლებების დაცვა და ცნობიერების ამაღლება - საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია იურიდიული კონსულტაციის და მიგრაციის პოზიტიურ ფაქტორებზე ცნობიერების ამაღლების გზით, ხელს უწყობს მიგრანტთა უფლებების დაცვას და მათ მდგრად რეინტეგრაციას.
9. საქართველოს კონტექსტში მიგრაციისა და განვითარებისთვის პრაქტიკული მნიშვნელობის შეძენა - ინოვაციებისა და რეფორმების ცენტრი პოტენციურ ემიგრანტებს და საზღვარგარეთ მცხოვრებ ქართველებს შესაძლებლობას აძლევს,

ჩაერთონ, როგორც საკუთარი თავის, ასევე ქვეყნის განვითარებაში სხვადასხვა ინოვაციური თუ ბიზნესინიციატივების დაფინანსების მეშვეობით.“[31]

[31] მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისიის სამდივნო, ლეგალური ემიგრაციის გზამკვლევი, თბილისი, 2017წ.

# დასკვნა

როგორც ვიხილეთ, მნიშვნელოვანი მიგრაციული პროცესები საქართველოს ტერიტორიაზე არ არის ახალი მოვლენა და სათავეს ჯერ კიდევ უძველესი დროიდან იღებს. იმ მცირედი ისტორიული მონაცემებითაც კი, რომელიც ძველი დროიდან შემოგვრჩა კარგად ჩანს რამდენად ცოცხალი და აქტიური მოძრაობა ახასიათებდათ სხვადასხვა ხალხებს ამ ტერიტორიაზე, იქნებოდა ეს მკვიდრი მოსახლეობა, მეზობელი ქვეყნები თუ სულაც დამპყრობელთა ჯარები.

გამოვთქვით ვარაუდი საქართველოში ურბანიზაციის ფენომენის აღმოცენების სავარაუდო დროზე და განვიხილეთ ეკონომიკური მდგომარეობა, რომელსაც იწვევდა სხვადასხვა მნიშვნელოვანი მიგრაციული ნაკადი, ასევე შევეხეთ ფეოდალიზმის ეპოქას და მიმოვიხილეთ თუ როგორ იმოქმედა მან მიგრაციულ პროცესებზე.

შედარებით ვრცლად განვიხილეთ მეოცე საუკუნე და მასთან დაკავშირებული ადამიანთა მოძრაობა. ეს ნაწილი უკეთაა შევსებული რიცხვითი მონაცემებით, ვინაიდან არსებობს ოფიციალური სტატისტიკური მონაცემები.

დიდი ადგილი დაეთმო მიგრაციის განხილვას ჩვენს საუკუნეში, გამოვკვეთეთ ის სფეროები სადაც განსაკუთრებულად დიდი როლი აქვს ამ მოვლენას და დეტალურად განვიხილეთ ისინი, თავიანთი დადებითი და უარყოფითი მხარეებით. გამოვყავით და ვისაუბრეთ ეკონომიკის იმ სფეროებზე, რომლებზეც დიდი გავლენა აქვს მოსახლეობის იმიგრაციასა და ემიგრაციას. ამისათვის გამოვიყენეთ უახლესი მონაცემები გამოქვეყნებული საქართველოს ეროვნული სტატისტიკური სამსახურისა და არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ.

ბოლოს, გავეცანით ევროკავშირთან ერთად განხორციელებულ ახალ პროექტებს რომელთაც გაამარტივეს საქართველოს მოსახლეობის გადასვლა ევროკავშირის ტერიტორიაზე და იმ პროექტებსაც, რომლებიც ხელს უწყობენ ემიგრანტთა სამშობლოში დაბრუნებას.

დღეს მიმდინარე მიგრაციულ პროცესებზე შეიძლება ითქვას, რომ მართალია ემიგრანტები თავიანთი გამოგზავნილი ფულადი სახსრებით დიდად ეხმარებიან სახელმწიფოს და არაერთი კრიზისისგან გადაურჩენიათ ის (განსაკუთრებით 90-იან წლებში), ამას უარყოფითი მხარეც ბევრი აქვს და მოსახლეობის აქტიური გადინება ცალსახად დამანგრეველია  როგორც ეკონომიკისთვის, ასევე სოციალურ-დემოგრაფიული მდგომარეობისთვის. აუცილებელია მეტი რესურსი დაეთმოს სახელმწიფოს მხრიდან იმ პროექტების ხელშეწყობას, რომელიც ეხმარება ემიგრანტებს სამშობლოში დაბრუნებასა და რეინტეგრაციაში, ასევე შეიქმნას მეტი შესაძლებლობები მოსახლეობისთვის, რათა ნაკლებ სასურველი გახდეს უცხოეთში სამსახურის საძიებლად მიგრაცია და იქ საცხოვრებლად დარჩენა.

# გამოყენებული ლიტერატურა და ელექტრონული წყაროები:


1. ვახუშტის ბატონიშვილი „საქართველოს ისტორია“
2. *ლორთქიფანიძე მ.,* ქსე, ტ. 1, გვ. 525, თბ., 1975
3. მეტრეველი რ. — წმინდა დავით აღმაშენებელი, 2011
4. *მეტრეველი რ.,* შინაკლასობრივი ბრძოლა ფეოდალურ საქართველოში (XII ს.,), თბ., 1973
5. მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისია, საქართველოს 2017 წლის მიგრაციის პროფილი
6. მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისიის სამდივნო, ლეგალური ემიგრაციის გზამკვლევი, თბილისი, 2017წ.
7. მიგრაციის სახელმძღვანელო, თბილისი, 2017, პირველი გამოცემა.
8. ნოდარ ასათიანი, მარიკა ლორთქიფანიძე, როინ მეტრეველი, ოთარ ლორთქიფანიძე, გივი ჯამბურია, გიორგი ოთხმეზური, ოთარ ჯაფარიძე. *საქართველოს ისტორია (X კლასის სახელმძღვანელო)* - თბილისი, “ცისარტყელა”, 2001.
9. პაატა შავიშვილი,მოსახლეობის 2014 წლის აღწერის ძირითადი შედეგები.
10. საქართველოს კონსტიტუციაგანათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის წერილი მწვანე კავკასიას N MES 4 18 00104524 01/02/2018
11. საქსტატის წერილი მწვანე კავკასიას N 11-697 14/03/2018
12. A. G. Sagona. *Archaeology at the North-East Anatolian Frontier*
13. Brian O. Bell, The Performance of lennigras in the United Kingdom: Evidence from the GHS, The Econoeec Journal 107 (441), 1997.
14. Catalina Amucdo-Oorartes and Susan Pozo, Migration, Rervttances, and Male and Female Employment Patterns. The American Economic Review 96 (2), Amerkan Economic Association, 2006,

15. Gyan Pradhan, Mukti Upadhyay and Kamal Upadhyaya, Remittances and Economic Growth in Developing Countries. The European Journal of Development Research 20 (3), 2008
16. John Gison, David McKenzie aed Steven Sefiman, Accounting for Selectivity and Ovration Dependent Heterogeneity When Estimating the Impact of Emigration on incomes and Powerty in Sending Areas, Economic Development and Cultural Change 61 (2), 2013.
17. Joshua D. Angrist and Adnana D. Kugler, Protective of Counter Protective? Labor Market Institutes and the Effect of Immigration on EU Natives, Economic journal 113 (488), 2003.
18. Kakulia, Labour Migrants' Reenittances to Georgia.
19. Lowka T. Katee', Robert £.8, Luces and Theodora Menopari, Efects of Migration on Sending Countries: What Do We Know?, Paris: 2005.
20. Luis Navarro and Ian T. Woodward, Public AttRudes in Georgia: Results of a June 2022 Survey Carried out for NDI by CRAC, NDI Georgia, Tbilisi, 2012.
21. Michaela Vanore and Melissa Segel, The Evolution of Gendered Migration Trajectories from Moldova and Georgia, Comparative Migration Studies 3 (1). 2015
22. Michasla Maroufol, trepuar Migration between Georgia and Greece Everyone Can Cross a Low Force, Athens: Hellenic Foundation for Europea and Foreign Policy, 2013.
23. Parnea Constable, Facing the Harsh Reality of the American Dream: For Many imenigrants, Settling in U.S. Means Working for Minimum Wage Despite Experience or Education. Washington 29 ივნისი, 1997.
24. Working Group on Poverty Reduction and Eeployment, Poverty eduction and Employment: Diagnostic Report, Thilist: Task Force for Regional Development, 2009.
25. www.geostat.ge/
26. www.migration.comission.ge/